ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 28 მარტი, 2023 №61 (9097) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

სახალხო დამცველის მოადგილე: „ყველა მოძალადე და სექსუალურად შემვიწროებელი უნდა დაისაჯოს მაქსიმალურად **და სრულად“**

ნაფიცმა მსაჯულებმა შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის ბრალდებული დამნაშავედ ერთხმად ცნეს

გვ.5

„რიგგარეშე არჩევნებს მე არ ვემხრობი“

გვ.2

თეონა აქუბარდია: „ჩვენი ამოცანა უნდა იყოს „ქართული ოცნების“ სახლში გაშვება და არა ტაქტიკური გამარჯვება“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „ევროკავშირი არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია. 14 მილიარდს, რომელიც კანდიდატი ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი, ისე არ მოგვცემს. მეტი ვალდებულება ექნება სახელმწიფოს“

„ევროკავშირი რუსეთის ძალას დაანახებს და სტატუსს მოგვცემს“

გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „სააკაშვილის ჯილდომ გაანაწყენა მხოლოდ და მხოლოდ „რუსული ოცნება“ და კრემლი“

„ლუკაშენკოს ესმის, რომ ჰაagაში პუტინის შემდეგ ისიც აღმოჩნდება“

გვ.4

მიხეილ სააკაშვილი: „ტყუილია, რომ ეჭიმებსა და კონსილიუმზე ვამბობ უარს“



გვ.3

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი — 10 წლის განმავლობაში სახელმწიფომ 7 მილიარდი ლარით დააფინანსა პროგრამები. თუ მანამდე სამედიცინო დახმარების მიღების უფლება ჰქონდა მოსახლეობის მხოლოდ 40%-ს, დღეს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 94%-მდე

გვ.4

ნიკა გვარამიას ადვოკატები უზენაეს სასამართლოში მოსამართლე მერაბ გაბინაშვილის აცილებას ითხოვენ

გვ.6

ვარდან მინასიანი: „მოდით, ერთად ვიშრომოთ!“



გვ.5

მამაკაცმა სამზარეულოს შეკეთება გადაწყვიტა და 400 წლის ნახატები აღმოაჩინა

3 ირაკლი ღარიბაშვილი: ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა, დიქტატორული ყოფილი მმართველი სააკაშვილი დააჯილდოეს ადამიანის უფლებების დარგში

4 ბათუმში ნინაკის სპრეი კლასში, სავარაუდოდ, მოსწავლემ გაუშვა

5 მეგობრებმა ლატარიაში ჯეკპოტი 20 წლის წინ ნანახი სიზმრის წყალობით მოხსნეს

6 რუსეთი ბელორუსში ბირთვულ იარაღს განალაგებს

1993230720223

„რიგგარეშე არჩევნებს მე არ ვემხრები“

თეონა აქუბარდია: „ჩვენი ამოცანა უნდა იყოს „ქართული ოცნების“ სახლში გაშვება და არა ტაქტიკური გამარჯვება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი თეონა აქუბარდია პასუხობს.

– ქალბატონო თეონა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? გასული კვირის ბოლოს, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისგან, ასე ვთქვათ, საკმაოდ თამამი განცხადებები მოვისმინეთ. ვისმენთ შეფასებებს, რომ მან ყველაფერს თავისი სახელი დაარქვაო. თქვენ როგორ აფასებთ მის განცხადებებს? მან ივანიშვილს ოლიგარქი უწოდა. „ქართულ ოცნებას“ ცვლილებები შეაქვს დეოლიგარქიზაციის კანონში. რა მოლოდინი გაქვთ?

– მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ დააანონსა კანონის მიღება, რომელსაც გმობდნენ სრულიად ჩვენი დასავლელი პარტნიორები, არასამთავრობო სექტორი, კრიტიკული მედია და პოლიტიკოსები, აქ ჩვენ ვნახეთ პრეზიდენტის სწორი პოზიციები და „ქართული ოცნების“ ქმედებები, რომელმაც საბოლოო ჯამში უკვე ტაქტიკურად უკან დაიხია, თუმცა აგრძელებს ამ რუსული კანონის სულისკვეთების გავრცელებას. ჯაშუშების წოდებით და დაშინების მთელი იმ კამპანიით, რომელსაც ის ახორციელებს. შესაბამისად, პრეზიდენტის განცხადებები, როგორც ამ საკითხთან მიმართებაში, ისევე, თუ ვინ არის ოლიგარქი საქართველოში, არის ადეკვატური ასახვა იმ სამწუხარო და საუბედურო რეალობის, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა.

რაც შეეხება თვითონ პრეზიდენტის განცხადებას, მათ შორის იმასთან დაკავშირებით, რომ პრემიერი აღარ ელაპარაკება მას დიდი ხანია, რა თქმა უნდა, ესეც ლოგიკური გაგრძელებაა იმის, როდესაც „ქართული ოცნება“, ვინც მასთან არ არის, მისი მტერია, ისევ და ისევ ამ ფაქტს უსვამს ხაზს. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტის შეფასება 12 რეკომენდაციის ჭრილში, მათ შორის დამოუკიდებელი მედიის მფლობელის, ნიკა გვარამიას პატიმრობასთან დაკავშირებით. ის, რომ მან დატოვა შესაძლებლობა ამ გადაწყვეტილებაზე საკუთარი პოზიციის გადახედვის, ვგულისხმობ შეწყალებას, არის მნიშვნელოვანი გზავნილი, რომ ის აკვირდება პროცესებს და შესაძლებელია მან გადახედოს თავის დამოკიდებულებას.

– ფიქრობთ, რომ შესაძლოა სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალოს როგორც ნიკა გვარამია, ისე მიხეილ სააკაშვილი?

– მე ვფიქრობ, რომ ის განიხილავს ამ შესაძლებლობას. გამომდინარე იმ სულისკვეთებიდან, რომელიც მათ შორის 12 რეკომენდაციასა და კანდიდატის სტატუსზე ის საუბრობდა, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ შესაძლებელია მან განიხილოს ეს საკითხი დადებითად. არა ნიკა გვარამიასთვის, ცალკე შემთხვევაში, არამედ რეკომენდაციების შესრულების კუთხით, ქვეყნის ევროპული მისწრაფებებიდან გამომდინარე. ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში, მან ამ განცხადებით, მათ შორის იმის თქმით, რომ მას ბიძინა ივანიშვილი არ უნახავს წელზე მეტია, საბოლოო ჯამში აირჩია სწორი მხარე. ის მხარე, რომელიც ხალხის დაკვეთაა და არა ის მხარე, რომელიც ამ შემთხვევაში არის ივანიშვილის, არაფორმალური მმართველის მხრიდან გაკეთებული.

– შესაძლოა, სალომე ზურაბიშვილმა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონს ვეტო დაადოს?

– არ ვიცი. გააჩნია, რა ფორმით მოხდება მისი მიღება. დეოლიგარქიზაციის კანონს ოპოზიციამ მხარი არ დავუჭირეთ, იმიტომ კი არა, რომ ქვეყნის მტრები ვართ და მეხუთე კოლონა, როგორც ამას „ქართული ოცნება“ წარმოაჩენს, არამედ იმიტომ, რომ ის არ იყო პრობლემის მომგვარებელი საქართველოში, რაც უკავშირდება ოლიგარქიზაციას. პირდაპირ როდესაც გვითხრეს, რომ ბიძინა ივანიშვილია ოლიგარქი, მათ შორის ვენეციის კომისია პირდაპირ ამბობს, რომ სისტემური მიდგომა არის მნიშვნელოვანი და არა პერსონიფიცირებული, რასაც ეს კანონი ახდენს. ასევე გვითხრეს, რომ საშიშია ამ კანონის მიღება იმ ფორმით, რა ფორმითაც ახლაა შემოსული, ის ოპოზიციის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული და ადამიანის უფლებების შელახვის რისკებს ქმნის. ეს ყველაფერი ხომ არ არის ოპოზიციის ნათქვამი? ეს არის ვენეციის კომისიის შეფასება, საკმაოდ ვრცელი, მაშინ როდესაც, „ქართული ოცნება“ გვეუბნება, რომ ვენეციის კომისიას არ ჰქონია არანაირი შენიშვნა ამ კანონთან დაკავშირებით. სიმართლე გითხრათ, მე არ ვიცი, რას ფიქრობს „ქართული ოცნება“ იმ ხუთ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც მან დააანონსა, რომ რაღაცას შეცვლიან. ამ პროცესში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ. საკომიტეტო მოსმენაზეც მივალ, ისევე, როგორც პლენარულზე.

თუ „ქართული ოცნება“ გააგრძელებს ქვეყნის ევროპული კურსის საბოტაჟირებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ამას კარგად დაინახავს ხალხიც და ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც. ამის შემდეგ სრული პასუხისმგებლობა იქნება „ქართულ ოცნებაზე“ და არა ოპოზიციაზე. რადგან „ქართული ოცნება“ ცდილობს ისე წარმოაჩინოს, თითქოს ჩვენი ბრალია ის პრობლემები, რომელიც ქვეყანაში გვაქვს.

– გასული კვირის ბოლოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა მოვისმინეთ პარლამენტში. თუმცა ვერ დაინახა საზოგადოებამ, რომ რაიმეს შეცვლას აპირებენ. პირიქით, პრემიერი ისევ შეტევაზე გადმოდის და ადანაშაულებს ოპოზიციას. რა მოლოდინები გაქვთ და თქვენ რა ამოიკითხეთ მის განცხადებებში?

– პრემიერის ინტერპელაციის კითხვების ავტორი მე გახლავართ. ჩემი კითხვების ამოცანა იყო, რომ ეროვნულ უსაფრთხოებაში რა გამოწვევები აქვს საქართველოს და არა „ქართულ ოცნებას“? რას აკეთებს მთავრობა ამ გამოწვევების შესამცირებლად და რას აკეთებს ის, მათ შორის ქვეყნის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისთვის. ვგულისხმობ ნატო-ევროკავშირის წევრობას. ეს იყო მთავარი ამოცანა, ისევე, როგორც იმ დოკუმენტების მოთხოვნა, რომელიც მთავრობამ უნდა გამოუგზავნოს პარლამენტს ამ საფრთხეებიდან შეფასების ჭრილში. პარლამენტმა კი მას მხარი უნდა დავუჭიროთ და კონსენსუსის გზით მივიღოთ. პრემიერისგან ერთადერთი პასუხი მივიღე, რომ ის არ აპირებს დოკუმენტების წარმოდგენას პარლამენტისთვის, რადგან მან არ იცის, ვინ მოიგებს ომს უკრაინაში. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად დასავლეთი შეთანხმებულია, რომ ამ ომს იგებს უკრაინა. აქ მთავარია დრო, როდის მოხდება ამ ყველაფრის გაფორმება. პრემიერი როდესაც ამბობს, რომ საფრთხეს ის გარედან კი არ ხედავს ქვეყნისთვის და გარედან პირველ რიგში რუსეთზეა საუბარი, სწორედ რუსეთს უნდა საქართველოს უკანა ეზოდ გადაქცევა. თურმე მისი მთავარი საფრთხე არის ოპოზიცია. ასევე განსხვავებულად მოაზროვნე მოქალაქეები, იქნება ეს სტუდენტები თუ სხვა ჯგუფები. მეხუთე კოლონა გვიწოდა მან დასავლეთიდან მხარდაჭერის ფონზე, მაშინ როდესაც ვიცით, რომ რუსეთს სერიოზული დასაყრდენი ჰყავს ამ ქვეყანაში.

– ხელისუფლების პოზიცია ასეთია, რომ ყველა მათი ოპონენტი ნაცია?

– ამას ცდილობენ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს აღარ მუშაობს. მე პრემიერ-მინისტრს ვუწოდე წარსულში ჩარჩენილი. არა იმიტომ, რომ მისთვის შეურაცხყოფის მიყენება მინდოდა, არამედ ეს ობიექტურად ასეა. ის საუბრობს წარსულზე და მან არ გვაჩვენა მომავლის ხედვა, რაც მისი პასუხისმგებლობაა. მაშინ როდესაც, უკეთეს მომავალს არ სთავაზობს მოქალაქეებს, ვიდრე მათ შექმნეს, როდესაც არ გვთავაზობს ხედვას, როგორ აპირებს ქვეყნის სამშვიდობოზე გაყვანას, მაშინ როდესაც, შტორმია და ის გემის კაპიტანია. ის მეუბნება, რომ კომპასი არ სჭირდება ეკიპაჟის გადასარჩენად, ეს იყო აქ, სხვა არაფერი. ამიტომ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ის არის არა ქვეყნის უსაფრთხოების და მისი ინტერესების სადარაჯოზე, არამედ „ქართული ოცნების“ ინტერესების სადარაჯოზე. ეს მის გამოსვლაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა.

ასევე გამოჩნდა მისი ტაქტიკა, რომ მიუქსიოს ოპონენტებს საკუთარი კუნთმაგარი ბიჭები იმისთვის, რომ შექმნას შიში საზოგადოებაში. ერთი მხრივ, ის აშინებს საკუთარ მოსახლეობას ომით, სადაც აგრესორი რუსეთი არ არის და მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციაა მტერი. ასევე აშინებს მოსახლეობას იმით, რომ შეიძლება სტუდენტების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციის დაწყება, შეიძლება ცემატყეპა დარბაზში, რაც საზოგადოების დაპირისპირებას კიდევ უფრო აღრმავებს. ეს არის – წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო ტაქტიკა, რაც დარწმუნებული ვარ, რომ აღარ იმუშავებს. მათ აღარც ნდობა აქვთ საზოგადოებაში და აღარც რეალური ძალა ძალაუფლების შენარჩუნების.

– საით მიანიშნებს ასეთი მაღალი რანგის პირების ვიზიტები დასავლეთიდან და რა შედეგის მომტანი იქნება ეს?

– მე მახსოვს, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ბოლო წელს, გახშირებული ვიზიტები ჩვენი პარტნიორების, რომლებიც უხსნიდნენ მიხეილ სააკაშვილს, რომ დემოკრატიულად გადაებარებინა ხელისუფლება. სააკაშვილმა მოუსმინა მათ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლა, მათ შორის ჩვენი პარტნიორების დამსახურებაც იყო. დღეს ანალოგიური მცდელობებია ჩვენი პარტნიორების, აუხსნან „ქართულ ოცნებას“, რომ ხალხის ინტერესების სადარაჯოზე უნდა იყვნენ. ჩვენი დასავლელი პარტნიორები დგანან ქართველი ხალხის გვერდით და არა რომელიმე პარტიის და ისინი არ უშვებენ ხელს საქართველოს, რომელსაც ამ წლების მანძილზე ეხმარებოდნენ როგორც სუვერენიტეტის დაცვაში. თუ გაუძალიანდება ჩვენი მთავრობა დასავლელი პარტნიორების ამ ძალისხმევას და საკუთარი ხალხის ნების წინააღმდეგ წავა, ეს, რა თქმა უნდა, მათ კიდევ უფრო მალე დაამთავრებს, ვიდრე ეს არის კონსტიტუციით გათვალისწინებული.

– ვადამდელ არჩევნებს აქტიურად განიხილავს ოპოზიციის ერთი ნაწილი, თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– რაც საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, 2020 წლის მერე ვისმენთ ამ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნას. მოცემულობა არის, რომ უკვე 2023 წელია. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს „ქართული ოცნების“ სახლში გაშვების, ხელისუფლებიდან გაშვების და არა ტაქტიკური გამარჯვების. ამიტომ ამ ვითარებაში ეს მოწოდებები არის გაგრძელება რიტორიკის, რომელსაც არ ახლავს თანხედვა საშუალებების და გზების, როგორ უნდა მოხდეს ეს. მეორეც, კონსტიტუციაში გვაქვს ჩვენ ვადა, რომ 2024-ში არჩევნები უნდა იყოს. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს, ამას კონსტიტუცია ითვალისწინებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ უკეთესია, პოლიტიკის დაგეგმვა ხდებოდეს არა რიტორიკის დონეზე, არამედ ქმედებების. მე ამ შემთხვევაში არ ვიზიარებ მოსაზრებას რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით, ჩვენ გვაქვს ნდობა საზოგადოების მხრიდან დასაბრუნებელი, რაც წინაპირობაა არჩევნების გზით კოალიციური მთავრობის მოსვლის და ამ მიმართულებით არის ახლა სამუშაო და არა იმ განცხადებებით, რომელიც გამეორებაა ძველი რიტორიკის უკვე მესამე წელია და სხვა არაფერი.

ირაკლი ქადაგიშვილი: „სააკაშვილი 24-საათიან „ლაივში“ ცხოვრობს მშობლებთან, ოჯახთან, გულშემატკივრებთან ერთად“

სააკაშვილის პატიმრობის პროცესი 24-საათიან „ლაივში“ არის გადაცემული – აქ ადამიანის უფლება კი არა, პოლიტიკოსის უფლებაც კი არ არის დარღვეული, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა, ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, თუკი დედამიწის ზურგზე სადღაც სამართალი დარჩა და ყველაფერი პოლიტიკურ კონიუნქტურას არ არის შეწირული, საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურის სასამართლოს არანაირი გადაწყვეტილება არ შეიძლება არსებობდეს.

– სტრასბურის სასამართლო განიხილავს, სრულდება თუ არა ადამიანის მიმართ სამართლიანი სასამართლო, ან სახელმწიფო ძალადობს თუ არა სამართლის აღსრულების პროცესში ადამიანზე, ან როგორია მისი პატიმრობის პირობები. ამ შემთხვევაში, სააკაშვილის პატიმრობის პროცესი 24-საათიან „ლაივში“ არის გადაცემული. გამომდინარე აქედან, სტრასბურის სასამართლოში მსჯელობის საგანი რა უნდა იყოს, თვითონ სასამართლოსთვისაც გაუგებარი იქნება. მე ვშიშობ, რომ შეიძლება სარჩელიც კი არ მიიღოს, როგორც ეს ერთ შემთხვევაში, მისი პატიმრობის დასაწყისში იყო, იმიტომ რომ გვყავს პატიმარი, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში არის და 24-საათიან „ლაივში“ ცხოვრობს მშობლებთან, ოჯახთან, გულშემატკივრებთან ერთად, სრული პოლიტიკური ჩართულობით ყველა პროცესში და ნუ, აქ ადამიანის უფლება კი არა, პოლიტიკოსის უფლებაც კი არ არის დარღვეული. აქედან გამომდინარე, თუკი დარჩა დედამიწის ზურგზე სადღაც სამართალი და ყველაფერი პოლიტიკურ კონიუნქტურას არ არის შეწირული, რა თქმა უნდა, არანაირი სტრასბურის გადაწყვეტილება სააკაშვილის „ქეისთან“ მიმართებით არ შეიძლება არსებობდეს, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

ზელენსკი ზაპოროჟიეს რეგიონში ფრონტის ხაზზე ჩავიდა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ზაპოროჟიეს რეგიონში, ფრონტის ხაზზე ჩავიდა და იქ მებრძოლ ჯარისკაცებს შეხვდა, – ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ოფისის პრესსამსახური ავრცელებს.

ქვეყნის მეთაური ფრონტის ხაზზე არსებულ სიტუაციას გაეცნო და უკრაინელ ჯარისკაცებს მადლობა გადაუხადა ქვეყნის დაცვისთვის.

– პატივი მაქვს დღეს ვიყო აქ და მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი ქვეყნის, ყველა ჩვენგანის, ჩვენი სუვერენიტეტის, ჩვენი ქალაქებისა და ჩვენი ბავშვების დაცვისთვის, – მიმართა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ჯარისკაცებს.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 იელისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ევროკავშირი რუსეთის ძალას დაანახებს და სტატუსს მოგვცემს“

სოსო ცინცაძე: „ევროკავშირი არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია. 14 მილიარდს, რომელიც კანდიდატი ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი, ისე არ მოგვცემს. მეტი ვალდებულება ექნება სახელმწიფოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის მნიშვნელობაზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელისუფლებას მისცა თუ არა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების გარანტიები გარკვეული პირობით?

– გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში არ იყო შემთხვევითი ვიზიტი. ისეთი დიდი ქვეყნების, როგორიც გერმანიაა, საგარეო საქმეთა მინისტრები შემთხვევით ვიზიტებზე დროს არ ხარჯავენ. ეს ნამდვილად იყო ბოლო წლებში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ვიზიტი.

რაც შეეხება, იყო თუ არა კანდიდატის სტატუსზე საუბარი – დიახ, იყო. თუმცა, ჩვენ ვერასდროს ვერ გავიგებთ, დახურულ კარს მიღმა რაზე ილაპარაკეს პრემიერმა ღარიბაშვილმა და მინისტრმა ბერბოკმა. ვერც ლაპარაკის ტონალობას გავიგებთ და ვერც იმ დეტალებს, რა მოთხოვნა ჰქონდა ქალბატონ მინისტრს და რა – პრემიერ ღარიბაშვილს. ჩვენ მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ მათსავე განცხადებებზე დაყრდნობით.

დღეს, ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გავრცელებული ხმები, რომ საქართველო საგარეო პოლიტიკურ ვექტორს ცვლის, ეს არ დაუშვას. ეს ევროკავშირისთვის ამ რეგიონში კრახი იქნება. შესაბამისად, მე არ გამოვრიცხავ, ბერბოკმა მთლიანად ევროკავშირის პოზიცია გააცნო ღარიბაშვილს, რომ ისინი მზად არიან თვალი დახუჭონ სასამართლო რეფორმაზე, სხვა დანარჩენ მოთხოვნებზე და საქართველოს სტატუსი მიანიჭონ მხოლოდ ერთი პირობით, თუ საქართველო იქნება დასავლური კურსის ერთგული. მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ეს საუბარი შედგა, ეს უთხრა ბერბოკმა ღარიბაშვილს.

– როგორი შეიძლება პასუხი ყოფილიყო? ოპოზიცია აცხადებს, თუ საქართველო ამჯერადაც ვერ მიიღებს სტატუსს, მაშინ „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

– სერიოზული ამოცანის წინაშე დგას „ქართული ოცნება“. ხელისუფლებამ მშვენივრად იცის არა მხოლოდ სოციოლოგიური გამოკითხვებით, არამედ ფიზიკურად მზად არის ეს ხალხი, თავისი არჩევანი დაიცვას. ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის დასავლეთი ამ ქვეყნის მომავალია.

ევროკავშირმაც მშვენივრად იცის, რომ უკვე მოსახლეობაც ორჯერ უარს ვერ გაიგებს და დასავლეთზე ხელს ჩაიქნევს, გარკვეული ნაწილი მაინც. მორიგი იმედგაცრუება დასავლეთზე დადებითად ვერ განაწყობს საზოგადოებას. ამიტომ, ის დრო, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეარჩია აქ ჩამოსასვლელად, შემთხვევითი არ იყო. ამაზე მან ხაზგასმით პრესკონფერენციაზეც ისაუბრა.

ევროკავშირში გერმანიას ყველაზე ძლიერი თუ არა, ერთ-ერთი ძლიერი ხმა აქვს. მე ვიტყოდი, გადამწყვეტი ხმა. ამიტომ შეირჩა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში ამ მესიჯის ჩამოსატანად და არა, მაგალითად, სლოვაკეთის ან ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ცხადია, მათი წონა



ევროკავშირში სულ სხვა არის.

– თქვენ ვარაუდობთ, რომ სტატუსს მოგვცემენ?

– დიახ, სტატუსს მოგვცემენ იმის მიხედვით, 12-პუნქტიანი რეკომენდაცია რა დონეზე იქნება შესრულებული.

– და ეს იქნება ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილება?

– რა თქმა უნდა. რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ გლობალურ დონეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება პოლიტიკურია. დიახ, ეს იქნება დემონსტრაციული ჩვენება რუსეთისთვის, რომ დასავლეთი ამ რეგიონს არ დათმობს. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ არც ისეა საქმე, რომ 14 მილიარდს, რომელიც კანდიდატი ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი, ვინმე ისე მოგვცემს. სტატუსის მიღების შემდეგ, ბევრად მეტი ვალდებულება ექნება სახელმწიფოს იმ პუნქტების შესასრულებლად, რომელიც რეკომენდაციის სახით მოგვეცა. ევროკავშირი არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომ ასე არიგოს მილიარდები, როგორც ჩანს, ამას კარგად ხვდება ხელისუფლება.

– თქვენ რეგიონის მნიშვნელობაზე ისაუბრეთ. სწორედ ამაზე მინდა გკითხოთ, დასავლეთისთვის შავი ზღვის როლი იზრდება?

– რა თქმა უნდა, დასავლეთისთვის საქართველო ძალიან მნიშვნელოვანია. ევროპამ საქართველო არ უნდა დაკარგოს. უკრაინის ომის დასრულების შემდეგ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში საქართველოს როლი ერთიორად იზრდება. შავი ზღვის ქვეყნები არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები, მაგრამ აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთ კავკასიაში საქართველოს, ცხადია, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი აქვს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ბათუმის პორტს განსაკუთრებული სტრატეგიული როლი ჰქონდა. რასაკვირველია, დღეს ეს როლი ბევრად უფრო გაიზარდა. მთელი შავი ზღვის როლი სამხრეთ ნაწილში, ანაკლიის ზოლში განსაკუთრებულია.

ომის დასრულების შემდეგ გეოპოლიტიკური ლანდშაფტი გლობალურად შეიცვლება. ახალ ფაზაში გადავა და ამ ფაზაში საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ექნება. საქართველო გლობალური პოლიტიკის ნაწილი ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს გახდა, მაგრამ ტალღისებურად ხდება საქართველოს როლის წამოწევა. ახლა ეს როლი ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ამდენად, დასავლეთისა და საქართველოს დაინტერესება ორმხრივია. ამიტომ, არ მგონია, რომ მეორე შანსი არ მოგვცეს ევროკავშირმა. სტატუსს ამჯერად ნამდვილად მივიღებთ.

პრეზიდენტი: „ხელისუფლება ძალადობას კი არ ემიჯნება, მოძალადეს აგულიანებს და მსხვერპლს განმეორებით ეძალადება, უნდა გრცხვენოდეთ!“

– გაუმართლებელს ამართლებენ თავიანთი სამარცხვინო ქილიკით, რაც ხუმრობა ჰგონიათ – ხელისუფლება ძალადობას კი არ ემიჯნება, თუნდაც სიტყვიერად, პირიქით, მოძალადეს აგულიანებს და მსხვერპლს ამით განმეორებით ეძალადება, ეს ჩვენ ქვეყანას არ ეკადრება. უნდა გრცხვენოდეთ! – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა და შემაშფოთებელი უწოდა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას ქალზე ძალადობას და აღნიშნულის „სხვადასხვა ფორმით გამართლებას“.

მისივე თქმით, იმ დროს, როცა ხელისუფლება სწორედ 12 რეკომენდაციიდან იმ ნაწილის შესრულებით იწონებს თავს, რომელიც ქალთა უფლებებს და გენდერს ეხება, გამოდის, რომ „ერთი ხელით, მეორე ხელით ქაღალდზე ხატანილს ვაუქმებთ“.

– შემაშფოთებელია ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა ქალზე ძალადობისა და კიდევ უფრო, ამის სხვადასხვა ფორმით გამართლებისა. გაუმართლებელს ამართლებენ თავიანთი სამარცხვინო ქილიკით, რაც ხუმრობა ჰგონიათ. ქალებიც, რომლებსაც საზოგადოებრივ სახეზე პრეტენზია გააჩნიათ. ასეთი არაცივილური, არასაზოგადოებრივი, არასოლიდარული მიდგომა ჩემთვის გაუგებარია ადამიანურად, როგორც მორალურად. მით უმეტეს, როცა ვიცით, რომ რაც სიტყვიერი ძალადობით იწყება, ხშირად ფიზიკურით გრძელდება და რიგ შემთხვევაში, ფემიციდის ტრაგიკული შედეგითაც სრულდება.

ყოველივე შევიწროებას, თავდასხმას სიტყვიერს თუ ფიზიკურს კატეგორიულად ვგმობ. ვგმობ პირველ რიგში, როგორც ქალი და ვგმობ, როგორც პრეზიდენტი. ვგმობ იმას, რასაც ჩვენ კულტურასთან, ჩვენ ტრადიციებთან, ჩვენ ზრდილობასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია და რამაც შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ რეპუტაციული ზიანი მიაყენოს საქართველოს, რომლის ისტორიასაც იცნობდნენ და იმედი მაქვს იცნობენ კიდევაც, როგორც ძლიერი ქალების ქვეყანას – ქვეყანა, სადაც ქალთა მიმართ არც პატივისცემას აკლებდნენ და არც ზრდილობას.

ჩვენ ისტორიისა და რეპუტაციის შელახვას თან ახლავს ასევე პოლიტიკური ზიანი. იმ დროს, როცა თავს იწონებს (ხელისუფლება) სწორედ 12 რეკომენდაციებიდან იმ ნაწილის შესრულებით, რომელიც ქალათა უფლებებს და გენდერს ეხება, გამოდის, რომ ერთი ხელით ვაუქმებთ მეორეთი ქაღალდზე დატანილს. მეტიც, ხელისუფლება ძალადობას კი არ ემიჯნება თუნდაც სიტყვიერად, პირიქით, მოძალადეს აგულიანებს და მსხვერპლს ამით განმეორებით ეძალადება. ეს ჩვენ ქვეყანას არ ეკადრება. უნდა გრცხვენოდეთ, – აცხადებს პრეზიდენტი.

ირაკლი ღარიბაშვილი: ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა, დიქტატორული ყოფილი მმართველი სააკაშვილი დააჯილდოეს ადამიანის უფლებების დარგში

– ნორვეგიაში გახსოვთ, რომ ბრეივიკმა ძალიან ბევრი ადამიანი დახოცა. დაახლოებით იგივეა, რომელიმე ქვეყანამ რომ ბრეივიკს მისცეს ჯილდო – სააკაშვილმა ასობით ადამიანი, ახალგაზრდა ჩახოცა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა, რომ ავტორიტარული, თითქმის დიქტატორული ყოფილი მმართველი, სააკაშვილი, რომელიც იყო მჩაგვრელი, მკვლელი სისტემის შემოქმედი, დააჯილდოეს ადამიანის უფლებების დარგში.

– ის, რაც მოგიყევით და შეგახსენეთ, ეს იყო ის საშინელი რეალობა, რომელიც დაგვხვდა 2012 წელს. როცა ადამიანებს დანაშაულებრივი სისტემა აწამებდა, აუპატიურებდა, ტანჯავდა, კლავდა და რამხელა დაცინვაა ჩვენი ხალხის და შეურაცხყოფა, რომ მთელ მსოფლიოში ცნობილი ავტორიტარული, თითქმის დიქტატორული მმართველი, ყოფილი მმართველი, სააკაშვილი, რომელიც იყო მჩაგვრელი, მკვლელი სისტემის შემოქმედი, დააჯილდოეს ადამიანის უფლებების დარგში. ეს ხომ დაცინვაა ეს ხომ წარმოუდგენელია. ამიტომ, ეს არის დაცინვა ჩვენი ხალხის და რა თქმა უნდა, ეს არაფერს არ ნიშნავს.

ეს არის დაახლოებით იგივე, არ მინდა ახლა ეს მძიმე შემთხვევა გავიხსენო, მაგრამ, რადგან ნორვეგიის ამ ორგანიზაციიდან ასეთი დამოკიდებულებაა, ნორვეგიაში გახსოვთ, რომ ბრეივიკმა ძალიან ბევრი ადამიანი დახოცა. დაახლოებით იგივეა, რომელიმე ქვეყანამ რომ ბრეივიკს მისცეს ჯილდო. სააკაშვილმა ასობით ადამიანი, ახალგაზრდა ჩახოცა. მიხეილ სააკაშვილი გასამართლებულია გირგვლიანის საქმეში მონაწილეობისთვის. მისი რეჟიმი იყო მკვლელი რეჟიმი, – განაცხადა პრემიერმა.

ლევან ხაბეიშვილი: „სააკაშვილის ჯილდომ გაანაწყენა მხოლოდ და მხოლოდ „რუსული ოცნება“ და კრემლი“

– მჩაგვრელი, მკვლელი სისტემის შემოქმედი სააკაშვილისთვის ადამიანის უფლებების დარგში პრიზის გადაცემა იგივეა, რომ ბრეივიკი დააჯილდოვონ, – თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თეა წულუკიანმა კი მიღებულ ჯილდოს სამარცხვინო გადაწყვეტილება უწოდა.

ამ განცხადებებს კი გამოეხმაურა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე და თქვა, რომ ამ ადამიანებს არანაირი მორალური უფლება არ აქვთ, ასე ისაუბრონ პრეზიდენტ სააკაშვილზე და ამ ჯილდოსთან ერთად კიდევ ბევრ ჯილდოს მიიღებს პრეზიდენტი სააკაშვილი, მისი გაკეთებული საქმეების გამო.

– ბარბარე რაფალიანცის, გიგა ფარტენაძის, თამარ ბაჩალიაშვილის, ლუკა სირაძის, ეროსი კიწმარიშვილის, ბესიკ ხარძიანის, შალვა თათუხაშვილის, სერგო უბილავას, ლევან კორტავას, მამუკა მიქაუტაძის, თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელები რომ საუბრობენ წამებაზე, ადამიანის უფლებებზე, ადამიანის უფლებების შელახვაზე.

ამასობაში, მაჯლაჯუნა წულუკიანი, რომელიც ანადგურებს ჩვენს გელათს, რომელიც ხელს უწყობს ჯვრის მონასტრის ნგრევას, რომელიც გამორჩეულია თავისი ბოღმით, არაადამიანური დამოკიდებულებებით, მათ შორის მისივე თანამშრომლებზე და უამრავი სასამართლო პროცესი აქვს წაგებული. ამასობაში ბიძინა ივანიშვილის პირადი ჩუჩელა ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც ბავშვებს მიუვარდებოდა ხოლმე სახლში მხოლოდ იმიტომ, რომ ბერას ცუდი კომენტარი დაუტოვეს და მერე ამ ბავშვების ცუდ მდგომარეობაზე ღლიცინებდა მისსავე ბატონის შვილთან, ბერასთან და ეს კაცი გვესაუბრება ადამიანის უფლებებზე და პრეზიდენტ სააკაშვილზე საუბრობს ნეგატიურ კონტექსტში, რომელსაც ნორვეგიელებმა გადასცეს დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ჯილდო, რომელიც ასევე მიღებული აქვს მაია სანდუს.

ამ ადამიანებს არა თუ მორალური უფლება, არამედ პოლიტიკური უფლებაც არ აქვთ რაიმე შეფასება გაუკეთონ პრეზიდენტ სააკაშვილის გაკეთებულ საქმეებს და ყველანი კარგად ვხედავთ, რომ ეს ეწყინათ, არ მოეწონათ და გაბრაზდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და გაბრაზდებოდნენ დარწმუნებული ვარ კრემლში. ყველა დანარჩენს კი, ნორმალურად, ადეკვატურად მიაჩნიათ პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ ჯილდო. ბევრი ჯილდო მიიღო პრეზიდენტ სააკაშვილმა და კიდევ ბევრს მიიღებს დარწმუნებული ვარ, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი: „ტყუილია, რომ ექიმებსა და კონსილიუმზე ვამბობ უარს“

– ტყუილია, რომ მე ექიმებსა და კონსილიუმზე ვამბობ უარს, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გაცხადებაშია ნათქვამი, რომელიც მის სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ვრცელდება. სააკაშვილის თქმით, ევროკავშირის კონსილიუმს სამი კვირაა ელოდება, ხოლო კლინიკის ენდოკრინოლოგთან „ჩვეულებრივად“ მუშაობს და არც მას აქვს პრეტენზიები.

– ჩვენ უკვე სამი კვირაა ველოდებით ევროკავშირის კონსილიუმს, რომელთაც საქართველოს მთავრობა ჩემთან არ უშვებს. რაც შეეხება კლინიკის ენდოკრინოლოგს, ჩვეულებრივად ვემუშავები და მას ჩემთან პრეტენზიები არ აქვს.

ამდენი წელი მათ უნდათ მომაკრან მკვლელის იარლიყი, ოღონდ ვერაფრით ვერ ამბობენ, ვინ და სად მოვკალი. გირგვლიანის საქმე კი იყო შეწყალებაზე მიბმის საქმე თავიდან ბოლომდე შეთითხნილი. სწორედ ამიტომ მიწოდებენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები პოლიტიკურ პატიმარს. ამ ბანდის შიზოფრენიამ უკვე უმაღლეს წერტილს მიაღწია და მე მგონი, არავის ეპარება ეჭვი, რომ მე ვერ ვიპოვი სამართლიანობას. ერთადერთი, ვინც ჩემს დროს ქართულმა სახელმწიფო ძალებმა დახოცეს, ასობით იყვნენ ის რუსი ინტერვენტები, რომელთაც 2008 წელს გადმოკვეთეს ჩვენი საზღვარი. სწორედ ამათ ხოცვაზე საუბრობს ბოლომდე რუსი პრემიერი. სწორედ განადგურებული მომხვდურების ჭირისუფალ მთავრობასთან გვაქვს საქმე. ამათ დაიწყეს ჩემი აბსურდული ბრალდებებით მათი მმართველობა და ამთავრებენ იგივეთი, – წერია სააკაშვილის განცხადებაში.

„ლუკაშენკოს ესმის, რომ ჰაagaში პუტინის შემდეგ ისიც აღმოჩნდება“

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიო ცდილობს, ხელი ააღებინოს აგრესორ პუტინს ბელარუსში ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსების მუქარის შესრულებაზე. ზოგადად, ბელარუსის ტერიტორიას კრემლი დიდი ხანია პოლიგონად იყენებს, ბელარუსის მმართველი ლუკაშენკო, რომლის პრეზიდენტობას ცივილიზებული სამყარო არ აღიარებს, უკრაინის წინააღმდეგ ომში პუტინის თანამზრახველია. ამასთან, ბელარუსის არმია ომში ჯერჯერობით არ ჩართულა. ლუკაშენკოს დიქტატურის პირობებში ბელარუსში შექმნილ მდგომარეობაზე უკრაინულ მედიას ესაუბრა ბელარუსის საზოგადოების წარმომადგენელი ნატალია რადინა.

ნატალია რადინა:

– ვფიქრობ, რომ ომში ბელარუსის არმიაც ჩაებმება. ლუკაშენკო კრემლის მარიონეტია. ბელარუსის ტერიტორიაზე რუსებს ათობით ათასი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს. ისინი წვრთნას გადიან ბელარუსის პოლიგონებზე. ბელარუსში რუსეთი ეზიდება სამხედრო ტექნიკას, სარაკეტო დანადგარებს, სარაკეტო სისტემა „ისკანდერის“ ჩათვლით. ხდება ამ ტექნიკის გადატანა ჩერნობილის ზონაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება ისევ მოხდეს სარაკეტო თავდასხმა კიევზე.

ყოველდღიურად „მაჩულიშჩის“ აეროდრომიდან ფრინდება გამანადგურებელი, რომელსაც შეუძლია „კინჟალის“ რაკეტების გამოყენება. ამის გამო კიევში საჰაერო განგაში ცხადდება. სანამ ბელარუსში დიქტატორული, აბსოლუტურად პრორუსული, აბსოლუტურად მარიონეტული რეჟიმია, ბელარუსიდან საფრთხე დაემუქრება უკრაინასაც და სხვა მეზობელ ქვეყნებსაც, რომლებიც ევროკავშირის წევრები არიან. ის, რომ ნატოს სურს რუსეთის საზღვართან 300.000 სამხედროს განთავსება, ამის დასტურია.

– როგორია პოლიტიკური სიტუაცია ბელარუსში? ხალხის განწყობა როგორია?

– ვითარება უკიდურესად მძიმეა. რეპრესიები და დაპატიმრებები მასობრივი გახდა მას შემდეგ, რაც „მაჩულიჩშის“ აეროდრომზე მოხდა რუსული თვითმფრინავის დაზიანება. პოლიტპატიმრების რიცხვი 10 ათასს მიუახლოვდა. ქვეყანაში ჯაშუშომანია მძვინვარებს. ყველგან ეძებენ უკრაინელ ჯაშუშებსა და მათ ხელშემწყობებს.

– ლუკაშენკო ბოლო ხანს საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მათ შორის ჩინეთში, რომელმაც ფული ჩადო ბელარუსის ეკონომიკაში. მართლა შეუძლია ჩინეთის ლიდერს გავლენის მოხდენა ლუკაშენკოზე?

– ბელარუსის პროპაგანდა ამტკიცებს, რომ ჩინეთს შეუძლია რუსეთის გაწონასწორება ბელარუსის სიტუაციაში. ლუკაშენკო ბაქიაობს თავისი „მეგობრობით“ სი ძინპინთან. სინამდვილეში, შესანიშნავად გვესმის, რომ არანაირი მეგობრობა არ არსებობს. ეკონომიკურ გავლენაზეც გეტყვით. პრაქტიკულად ყველა ჩინურ-ბელარუსული ეკონომიკური პროექტი, რომელიც ხორციელდებოდა ათწლეულების განმავლობაში, წამგებიანი იყო. წარმატებული გამოდგა მხოლოდ სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა. ლუკაშენკოს ვიზიტები ჩინეთსა და ირანში დაკავშირებულია უკრაინის ომთან და სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობასთან, რომელიც ბელარუსს აქვს ამ ქვეყნებთან.

– რამდენად ყოვლისშემძლეა რუსეთი ბელარუსში? ლუკაშენკო თუ მართავს პროცესებს?

– ლუკაშენკო საკუთარ ნომენკლატურას მართავს. ამასთან, სამხედროებისა და ჩინოსნებისათვის სავსებით ნათელია, ვინაა მათი პატრონი. მათ იციან, რომ ლუკაშენკოს ბედი დამოკიდებულია პუტინის ბედზე. ბელარუსის დიქტატორს არანაირი საშუალება არ რჩება, გამოვიდეს რუსეთის გავლენიდან.

– რა უბიძგებს ბელარუსს, პირდაპირ ჩაერთოს ომში?

– დარწმუნებული ვარ, ბელარუსი ომში ჩაერთვება მაშინ, როცა ამ გადაწყვეტილებას პუტინი მიიღებს. 2022 წლის 24 თებერვლამდე ლუკაშენკო არწმუნებდა უკრაინის ხელმძღვანელობას, რომ რუსეთის ჯარები უკრაინაში ბელარუსის ტერიტორიიდან არ შევიდოდნენ. მიუხედავად ამისა, ეს მაინც მოხდა.

– არსებობს ვერსია იმის შესახებ, რომ ლუკაშენკო ცდილობს დასავლეთთან მოლაპარაკებას. ამბობდნენ, რომ ბელარუსის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მაკეი, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა, დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა ლუკაშენკოსა და დასავლეთს შორის.

– დიახ, ის დამაკავშირებელი რგოლი იყო და ცდილობდა ევაჭრა პოლიტპატიმრებით. ეს ამჟამადაც გრძელდება. დასავლეთი დიქტატორისგან შემხვედრ ნაბიჯებს მოითხოვს. ეს არის ყველაზე ... ტიმრის ... სუფლება. ლუკაშენკო ... ხოვნა. და სავლეთს არ შეუძლია ლუკაშენკოს რაიმეზე მოელაპარაკოს, როცა ციხეებში ათასობით პოლიტიკურ პატიმარს აწამებენ. ბელარუსის მხარის მოთხოვნაა, დასავლეთმა აღიაროს ლუკაშენკო (პრეზიდენტად), ტერორის შეჩერებას და მედიის გათავისუფლებას კი მინსკი არ ფიქრობს. ბელარუსული დიქტატურისათვის ჯერ დასავლეთს სანქციები არ დაუწესებია. ამას უკრაინის მხარე ლობირებს. უკრაინელები შიშობენ, რომ სანქციებით მოხდება ლუკაშენკოს პროვოცირება და ბელარუსის არმია ომში ჩაერთვება. ჩემი აზრით, ეს არაშორსმჭვრეტელი შეხედულებაა. სანქციებში, პუტინის მსგავსად, ლუკაშენკოც უნდა მოაქციონ.

– შეუძლია თუ არა ლუკაშენკოს, დასავლეთს მიჰყიდოს ბელარუსის არჩართვა ომში?

– მაშინ უნდა გამოაცხადოს რუსეთის ჯარების გაყვანა ბელარუსიიდან, სამხედრო ტექნიკის გატანა. უნდა შეწყდეს სროლები უკრაინის მიმართულებით.

– სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გასცა პუტინის დაკავების ორდერი. ზუსტად იმ დროს გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბელარუსში ხდება მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია კაცობრიობის საწინააღმდეგო დანაშაულთან. პუტინის მიმართ გაცემული ორდერი ლუკაშენკოზეც იმოქმედებს?

– იმოქმედა. ისინი (ლუკაშენკოს რეჟიმის წარმომადგენლები) პანიკაში არიან. ლუკაშენკოს ესმის, რომ პუტინის მერე შეიძლება შემდეგი გახდეს. მათ ეგონათ, რომ პუტინს პასუხისმგებლობა არასდროს დაეკისრებოდა. პასუხისმგებლობა უკვე დადგა. ლუკაშენკოს, როგორც პუტინის ხელქვეითს, როგორც აგრესიის მონაწილეს, ძალიან ეშინია. მან იცის, რომ პასუხი მანაც უნდა აგოს.

ირაკლი ღარიბაშვილი — 10 წლის განმავლობაში სახელმწიფომ 7 მილიარდი ლარით დააფინანსა პროგრამები. თუ მანამდე სამედიცინო დახმარების მიღების უფლება ჰქონდა მოსახლეობის მხოლოდ 40%-ს, დღეს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 94%-მდე

2012 წელს, როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ჩვენი პარტიის დამფუძნებელი, გამოვიდა ინიციატივით და მისი გადაწყვეტილებით ჩვენ დავიწყეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, 10 წლის განმავლობაში სახელმწიფომ 7 მილიარდი ლარით დააფინანსა პროგრამები.

– დიდი პატივია ჩემთვის დღეს თქვენ წინაშე გამოსვლა. მე შევეცდები ძალიან მოკლედ შევაჯამო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის 10 წლის შედეგები. მანამდე მინდა შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, თუ რა მდგომარეობა დაგვხვდა, როდესაც მოვედით ხელისუფლებაში 2012 წელს და რამდენიმე შედარებითი მაგალითი მინდა მოგიყვანოთ.

თქვენ გახსოვთ კარგად, რომ 2012 წელს ჯანდაცვის ბიუჯეტი იყო ძალიან მწირი, თითქმის 70 მილიონ ლარამდე იხარჯებოდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე. ეს, რა თქმა უნდა, იყო ძალიან მწირი დაფინანსება. ამით შეუძლებელი იყო ჩვენი საზოგადოების მოცვა და, ზოგადად, იმ საჭიროების დაფინანსება, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს კრიტიკულად ესაჭიროებოდათ. ამიტომ, 2012 წელს, როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ჩვენი პარტიის დამფუძნებელი, გამოვიდა ინიციატივით და მისი გადაწყვეტილებით ჩვენ დავიწყეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება. დღეს გვაქვს რადიკალურად შეცვლილი მდგომარეობა. 10 წლის განმავლობაში სახელმწიფომ 7 მილიარდი ლარით დააფინანსა პროგრამები. ამით, რეალურად, ჩვენ რადიკალური, გარდამტეხი ცვლილებები შევიტანეთ ამ სექტორში. შედარებისთვის მინდა გითხრათ, რომ თუ მანამდე სამედიცინო დახმარების მიღების უფლება ჰქონდა მოსახლეობის მხოლოდ 40%-ს, დღეს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 94%-მდე. ჩვენი მოსახლეობის 94% სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, რაც, რა თქმა უნდა, არის ძალიან დიდი შედეგი, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2012 წლამდე პრაქტიკულად არ არსებობდა პრევენციული პროგრამები, წარმოუდგენელი იყო იგივე C ჰეპატიტის მკურნალობა.

– კიბოს საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღების შესაძლებლობა მხოლოდ ერთეულ პაციენტებს, ისიც კერძო დაფინანსებით ჰქონდათ და ძალიან ბევრი გამოწვევა არსებობდა ამ სექტორში. ჩვენს მოქალაქეებს, ყველას კარგად მოგეხსენებათ, უწევდათ საკუთარი სახლის, ავტომობილის გაყიდვა იმისათვის, რომ ჯანდაცვის ელემენტარული სერვისი მიეღოთ. ასე რომ, სრულად მიტოვებული იყო ჩვენი მოქალაქე სახელმწიფოსგან, სახელმწიფოს მზრუნველობისგან. ამ დროს, ჩვენ კარგად ვიცით, იმისთვის, რომ შევაფასოთ ხელისუფლების დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, ეს დამოკიდებულება უნდა გამოიკვეთოს მოქალაქეებისადმი, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებზე, საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე, სიცოცხლის დაცვაზე, განათლებაზე და ა.შ.

მთავრობის მეთაურის თქმით, განხორციელდა ასევე C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საერთო ჯამში 80.000-ზე მეტმა პაციენტმა იმკურნალა და პროგრამის ღირებულება კი, 3,5 მილიარდ ლარზე მეტი დაჯდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე განაცხადა, რომ 2012 წლამდე ძალიან მწირე დაფინანსება ჰქონდათ სახელმწიფოსგან კერძო კლინიკებს.

– მინდა, კიდევ რამდენიმე შედარებითი მაგალითი მოვიყვანო. 2012 წლამდე ძალიან მწირე დაფინანსება ჰქონდათ კერძო კლინიკებს სახელმწიფოსგან. ბოლო 10 წლის განმავლობაში კერძო სამედიცინო კლინიკებმა მიიღეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებზე სახელმწიფოს მიერ დახარჯული თანხების 97%, რაც შეადგენს თითქმის 6.8 მლრდ ლარს. 6 მლრდ 800 მლნ ლარს შეადგენს ჩვენ მიერ გადახდილი თანხები. ამას ემატება 1 მლრდ ლარზე მეტი კოვიდპანდემიის დროს ყველა პაციენტის მკურნალობის ანაზღაურება და, რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან დიდი დახმარება კერძო კლინიკებისთვის, მაშინ, როცა 2012 წელს მთლიანად ჯანდაცვის მიმართულებაზე იხარჯებოდა 450 მლნ ლარი. ეს შედარება, ეს განსხვავებაა ჩვენი ხელისუფლების მიერ გაკეთებულ საქმესა და 2012 წლამდე გაკეთებულ საქმეს შორის. ეს არის უზარმაზარი განსხვავება.

ასევე მინდა მოგახსენოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი. ბოლო 10 წელში გარდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისა, რეფერალური მომსახურებით ისარგებლეს ჩვენმა მოქალაქეებმა და ჩვენ 390 მლნ ლარი გამოვყავით ამისთვის, საიდანაც 50 მლნ ლარით დაფინანსდა ჩვენი მოქალაქეების მკურნალობა საზღვარგარეთ და ამას ემატება 25 მლნ ლარი სოლიდარობის ფონდის მიერ გამოყოფილი დაფინანსება. ჯამში 75 მლნ ლარი იქნა გადახდილი ჩვენი მოქალაქეების საზღვარგარეთ მკურნალობაში.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ისაუბრა რესპუბლიკური საავადმყოფოს შესახებ და აღნიშნა, რომ ძალიან მალე, რამდენიმე დღეში ბატონი ზურაბ აზარაშვილი წარმოადგენს ახალ ხედვას, პრეზენტაციას.

– მე მინდა ასევე გითხრათ ძალიან მოკლედ, – ბოლო დღეების განმავლობაში ბევრი კითხვა დაისვა, თუ რა გეგმა აქვს სახელმწიფოს რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან დაკავშირებით. ძალიან მალე, რამდენიმე დღეში ბატონი ზურაბ აზარაშვილი წარმოადგენს ახალ ხედვას, პრეზენტაციას. რესპუბლიკური საავადმყოფოს არც ერთი თანამშრომელი არ დარჩება სამსახურის გარეშე. ძალიან ბევრი არასწორი ინფორმაცია ვრცელდებოდა ბოლო დღეების განმავლობაში, მიზანმიმართული ტყუილი, პროპაგანდა მიმდინარეობდა, რაც, რა თქმა უნდა, არის სიცრუე. არც ერთი თანამშრომელი არ დარჩება სამსახურის და ხელფასის გარეშე. გვაქვს ძალიან კარგი ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს რესპუბლიკური საავადმყოფო. საუბარი არის იმავე ადგილზე, და არა სხვა ადგილზე, ახალი საავადმყოფოს მშენებლობაზე და, რა თქმა უნდა, შევინარჩუნებთ ყველა თანამშრომელს. ეს მინდოდა მეთქვა ხაზგასმით. ასე რომ, არავითარი მღელვარების საფუძველი ჩვენ არა გვაქვს. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველას, – განაცხადა პრემიერმა.

ნიკა გვარამიას ადვოკატები უზენაეს სასამართლოში მოსამართლე მერაბ გაბინაშვილის აცილებას ითხოვენ

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას ადვოკატები უზენაეს სასამართლოში მოსამართლე მერაბ გაბინაშვილის აცილებას ითხოვენ. განცხადება მათ ცოტა ხნის წინ გააკეთეს.

– დღეს მივმართავ უზენაეს სასამართლოს მოსამართლე მერაბ გაბინაშვილის აცილებასთან დაკავშირებით. ნიკა გვარამიას საკასაციო საჩივარი სასამართლოში შესულია უკვე სამ თვეზე მეტია და ის აწერია მოსამართლე მერაბ გაბინაშვილს, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში, არა თუ საჩივრის განხილვა არ დაწყებულა, არამედ მოსამართლეთა ვინაობა არ არის განსაზღვრული, რომლებმაც უნდა განიხილონ ჩვენი საკასაციო საჩივარი.ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ხელისუფლება ეძებს იმ მოსამართლეებს, რომლებსაც მოაწერინებს ხელს ხელისუფლების მიერ წინასწარ გამოტანილ უკანონო განაჩენზე, – თქვა დიმიტრი საძაგლიშვილმა. მისივე თქმით, საქმეების განაწილების სისტემა არის ხარვეზიანი და პოლიტიკური მდგენელის მქონე საქმეებს კლანი იმ მოსამართლეებს აწერს, რომლებიც მათთვის სასურველ გადაწყვეტილებებს იღებენ. საძაგლიშვილი ამბობს, რომ მერაბ გაბინაშვილი უზენაეს სასამართლოში 2019 წელს კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით დაინიშნა, ვინაიდან ის კლანის ერთგული წევრი და ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია.

ბათუმში წიწაკის სპრეი კლასში, სავარაუდოდ, მოსწავლემ გაუშვა

ბათუმის პირველი საჯარო სკოლის 10-მდე მოსწავლისა და ერთი მასწავლებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ისინი ინტოქსიკაციის ნიშნებით კლინიკაში 2 საათის წინ გადაიყვანეს. როგორც ცნობილია, მათ კლინიკიდან რამდენიმე საათში გაწერენ.

არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთმა მოსწავლემ კლასში წიწაკის სპრეი გაუშვა, რის შემდეგაც, მასწავლებლები და რამდენიმე მოსწავლე შეუძლოდ გახდა.

ადგილზე სასწრაფო სკოლის დირექტორმა გამოიძახა. მისი თქმით, ჯერჯერობით მომხდარის ზუსტი მიზეზი უცნობია და ადგილზე პოლიცია მუშაობს.

– პრევენციის მიზნით გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარება, ცოტა ხანში მანდატურსაც ჰქონდა სუნთქვის უკმარისობის ნიშნები და სასწრაფო დახმარებამ შესაბამისი დახმარება გაუწია მასწავლებელს და მანდატურს და გადაიყვანა საავადმყოფოში. როგორც კი ჩვენ შევნიშნეთ, რომ ბავშვებს გაუჩნდათ დისკომფორტი და თავის ტკივილი, ასევე პრევენციის მიზნით, მშობლების ინფორმირების შემდგომ, გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარება.

ჩვენ პოლიცია გამოვიძახეთ და იმედი მაქვს, რომ საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდება, რამ გამოიწვია ეს, – თქვა სკოლის დირექტორმა.

ლაშა ფურცხვანიძე: „ვაკის პარკის ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი იმიტომ კი არ მაინტერესებს, რომ მეშინია, ციხეში არ ჩამსვან, არამედ იმიტომ, რომ სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვატარო ეს ტვირთი“

– ამ ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი მაინტერესებს, იმიტომ კი არა, რომ მეშინია, ციხეში არ ჩამსვან, არამედ იმიტომ, რომ სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვატარო ეს ტვირთი, – ამის შესახებ ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიაზე „გრინსერვის პლუსის“ ბრალდებულმა დირექტორმა ლაშა ფურცხვანიძემ განაცხადა.

როგორც ის განმარტავს, მისი დიდი სურვილია, ეს ტრაგედია გამოიძიონ.

– დღეს თქვენ წინაშე, როგორც ბრალდებული, ისე ვიმყოფები, რომელსაც პროკურატურა იმ ტრაგედიას მედავება, რასაც 14 წლის ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. ბრალად მდებენ იმას, რომ შეცნობილად, წინასწარი განზრახვით, 150-ლარიანი რელეს დაზოგვის გამო, შევიწირე ამ ბავშვის სიცოცხლე და ცდილობენ, საზოგადოების წინაშე ჩემ უსაზიღრეს დამნაშავედ გამოყვანას. მე, როგორც ადამიანების უმრავლესობას, შეგიძლიათ ბრალი დამდოთ მრავალ ცოდვაში, მაგრამ რასაც თქვენ ასე უნიჭოდ ცდილობთ დამაბრალოთ, ვერ დამაბრალებთ. ჩვენს თხოვნებზე, რეალურად გამოგეკვლიათ ტრაგედიის რეალური გამომწვევი მიზეზები, თქვენ აბსოლუტურად არაფერი გაგიკეთებიათ.

მე პირადად, მაინტერესებს ამ ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი, იმიტომ კი არა, მეშინია, ციხეში არ ჩამსვან, არამედ იმიტომ, რომ სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვატარო ეს ტვირთი. თქვენ მხოლოდ ის გაინტერესებთ, ფორმალურად დამიმტკიცოთ თქვენ მიერ გამოგონილი ბრალდება. რაიმე მაინც გამოიძიეთ ამ ტრაგედიაში რეალური, ვინაიდან თითქმის 6 თვეა, ვრწმუნდები, რომ თქვენი მიზანია, რომ იმ 8 ადამიანიდან, რომელიც ჩემთან ერთად გაუშვით გლდანის ციხეში, რომელიმე გატყდება და აღიარებს დანაშაულს. დაპირებები არ მიყვარს, მაგრამ იმას გპირდებით, რომ ამ ოცნების კოშკებს ტყუილად აშენებთ. ეს ტრაგედია, რაც მოხდა, ჩემთვის ნამდვილად საშინელებაა, თქვენთვის მხოლოდ ფორმალური გარემოებები. დიდი სურვილი მაქვს, გავიგო, რამ გამოიწვია ეს ტრაგედია, მაგრამ სამწუხაროდ, თქვენი უმოქმედობა არანაირ იმედს არ მაძლევს, რომ ოდესმე რამეს გავიგებ. გისურვებთ, წარმატებით ჩაგეტარებინოთ ეს წარმოდგენა, მე კი, ჩემი მხრივ გეტყვით, რომ იოტისოდენადაც არ მეშინია ბრალდების და სასჯელის. ღმერთია მხოლოდ და

მხოლოდ ჩემი და ამ უდანაშაულო 8 ადამიანის მსაჯული და არა თქვენ, – განაცხადა ფურცხვანიძემ.

ცნობისთვის, 2022 წლის 13 ოქტომბერს, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შედეგად, 13 წლის მარიტა მეფარიშვილი გარდაიცვალა, ორი მოზარდი – ანდრია ლორთქიფანიძე და ლაზარე ლობჟანიძე კი დაშავდა. მეფარიშვილის გარდაცვალების საქმეზე 9 პირია ბრალდებული, რომელთაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვთ შეფარდებული, ზოგიერთ მათგანს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ბრალდება დაუმძიმა. კერძოდ, ბრალი დაუმძიმდათ – „გრინსერვისი+“-ის დირექტორს, ლაშა ფურცხვანიძეს უხარისხო სამუშაოების შესრულების ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ორი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია (სსკ-ის 251-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი), ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). „გრინსერვისი+“-ის თანამშრომელს დევი კახოიძეს – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში წაქეზების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 25,362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და „მშენ-ექსპერტი“-ს დირექტორს ნუგზარ ქიტიაშვილსა და ამავე კომპანიის ექსპერტს დავით თუშიშვილს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, გასაღების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

ნაფიცმა მსაჯულებმა შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის საქმეზე ბრალდებული დამნაშავედ ერთხმად ცნეს

ნაფიცმა მსაჯულებმა შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის საქმეზე ბრალდებული დამნაშავედ ერთხმად ცნეს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს. საქმე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა. პროკურატურის განმარტებით, ბრალდებულმა დაზარალებული იარაღიდან გასროლით მოკლა, შემდეგ ავტოავარიის ინსცენირება მოაწყო და დანაშაულის დაფარვის მიზნით, მსხვერპლს და ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდა.



სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის მაქსიმალური ზომა, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

– სასამართლო პროცესზე დადგინდა, რომ 2022 წლის გაზაფხულზე ბრალდებულმა თანხა ისესხა დაზარალებულისგან, რომელსაც თვეების განმავლობაში არ უბრუნებდა. დაზარალებული ვალის გადახდას ითხოვდა, ბრალდებული კი, სხვადასხვა მიზეზით, თანხის დაბრუნებაზე უარს ამბობდა. ამის გამო, მათ არაერთხელ მოუვიდათ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება.

2022 წლის 15 აგვისტოს ბრალდებულმა, წარსული კონფლიქტის გამო, შურისძიება გადაწყვიტა. იგი დაზარალებულს შეხვედრაზე შეუთანხმდა. დათქმულ ადგილზე მისულს კი, ცეცხლსასროლი იარაღიდან ტყვია თავის მიმართულებით ესროლა. შემდეგ მსხვერპლი ავტომობილით ტყისკენ წაიყვანა, სადაც ავტოავარიის ინსცენირება მოაწყო და დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, დაზარალებულის სხეულს და ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდა.

სასამართლო პროცესზე პროკურორებმა წარადგინეს 40 მოწმე და გამოიკვლიეს ყველა ნივთიერი მტკიცებულება, მათ შორის, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული ვაზნები, რომლებიც მკვლელობის დროს გამოყენებული საბრძოლო მასალის იდენტური იყო.

დაცვის მხარე სასამართლო პროცესზე ავითარებდა ვერსიას, თითქოს ბრალდებულმა თავდაცვის მიზნით გაისროლა. ეს პოზიცია ეწინააღმდეგებოდა მტკიცებულებებს, რომლებიც ბრალდებულის მიერ დანაშაულის დაგეგმვასა და შემთხვევის ადგილზე შეიარაღებულ ჩასაფრებას მოწმობდა.

საქმის გარემოებების დეტალურად შესწავლის შემდეგ, ნაფიცმა მსაჯულებმა გაიზიარეს პროკურატურის პოზიცია და ბრალდებული ყველა წარდგენილ ბრალდებაში, კერძოდ, განზრახი მკვლელობისთვის (სსკ-ის 108-ე მუხლი), ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენისა და ტარებისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები), ასევე ავტომანქანის განზრახ განადგურებისთვის (სსკ-ის 187-ე მუხლი) ერთხმად ცნეს დამნაშავედ, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

სახალხო დამცველის მოადგილე: „ყველა მოძალადე და სექსუალურად შემვიწროებელი უნდა დაისაჯოს მაქსიმალურად და სრულად“

სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ბურჯანაძე თათია სამხარაძესთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და წერს, რომ ყველა მოძალადე და სექსუალურად შემვიწროებელი უნდა დაისაჯოს.

მისი თქმით, წარმოუდგენელია უკანონობისა და სითავხედის მასშტაბი, რაც სამხარაძის მიმართ ხდება. თავად სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი მომხდარს არ გამოხმაურებია. თათია სამხარაძემ მას საქმით დაინტერესებისკენ პირადადაც მოუწოდა.

– რამდენჯერმე ვუყურე თათია სამხარაძის ვიდეოს.

წარმოუდგენელია ის ყველაფერი, რაც მის მიმართ მიმდინარეობს. უფრო სწორად, წარმოუდგენელია ამ უკანონობისა და სითავხედის მასშტაბი!

ერთი შეხედვით მედიის თავისუფლების ანტურაჟით შენიღბული სახელისუფლო პროპაგანდისტის გადასარჩენი სპეცოპერაცია, მაგრამ რეალურად ეს გაცილებით მეტია და კარგად ჩანს პირადი ცხოვრების უფლების უკანონო ხელყოფა, უფლებადამცველების შევიწროება და დისკრედიტაცია და სამართალდამცველების პოლიტიკური მიზნით გამოყენება.

ამ ყველაფრის თანმდევი მძიმე ადამიანური ტვირთის ატანა უწევს თათიას და მის ახლობელ ადამიანებს. ძნელია ამ საშინელების მოთმენა და პირველ რიგში გამძლეობის სურვილები მას, ჩემგან, როგორც თანამოქალაქისგან.

ყველა მოძალადე და სექსუალურად შემვიწროებელი უნდა დაისაჯოს მაქსიმალურად და სრულად! – წერს ბურჯანაძე.

ცნობისთვის, 26 მარტს თათია სამხარაძემ Facebook-ზე გაავრცელა ვიდეო, სადაც ამბობს, რომ „პოსტივი“ იტყუება, თითოს ის ენმ-ის წევრის, დიმა ჩიქოვანის ბინიდან ვერ გამოდის, აქვს ჩალურჯებები. სამხარაძე ვიდეოს სახლიდან წერს, სადაც მამამისთან ერთადაა და ამბობს, რომ არანაირი დაზიანებები მას არ აქვს.

24 მარტს, გვიან ღამით, ენმ-ის წევრის, დიმიტრი ჩიქოვანის სახლში, წერეთლის გამზირზე, მთელი ღამის განმავლობაში საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა. მასთან პოლიცია POS TV-ის მიერ, 112-ში განხორციელებული ზარის შემდეგ მივიდა. უწყებაში ჟურნალისტმა ნათია ბერიძემ დარეკა და განაცხადა, რომ დავით კეზერაშვილის ცოლისძმამ, სავარაუდოდ, თათია სამხარაძე გაიტაცა.

შსს-მ გამოძიება ძალადობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლებით დაიწყო, თუმცა სამართალდამცველებმა დანაშაულის ნიშნები ვერ ნახეს და, შესაბამისად, დაკავებულიც არავინაა.

სამხარაძის თქმით, იმის მაგივრად, რომ საგამოძიებო უწყებები სერიოზულად ინტერესდებოდნენ იმ დანაშაულებით, რომლებსაც შალვა რამიშვილი ჩადის, „პოსტივისთან“ ერთად ჰიბრიდულ სპეცოპერაციებს დგამენ და ცრუ დასმენით, სახლში უვარდებიან ოპოზიციური პარტიის წევრს. ის ამბობს, რომ მისი უსაფრთხოება, როგორც ქალთა უფლებადამცველი აქტივისტის, საქართველოში საფრთხეშია.

თათია სამხარაძემ POS TV-ის ხელმძღვანელ, შალვა რამიშვილს ტელეკომპანია „იმედში“ ყოფნის დროს, 2016 წელს უჩივლა სექსუალური შევიწროების გამო და დავა მოიგო. რამიშვილმა გადაწყვეტილება საапელაციოში გაასაჩივრა, თუმცა სასამართლომ საქალაქოს გადაწყვეტილება დატოვა ძალაში. რამიშვილს აღნიშნული უზენაესში აღარ გაუსაჩივრებია.

ბოლო დღეების განმავლობაში შალვა რამიშვილი სექსუალურ შევიწროებაში კიდევ რამდენიმე ქალმა ამხილა.

კალეიდოსკოპი

მეგობრებმა ლატარიაში ჯეკპოტი 20 წლის წინ ნანახი სიზმრის წყალობით მოხსნეს



კანადის ქალაქ ოტავას მკვიდრმა მეგობრებმა ლატარიაში ჯეკპოტი ერთ-ერთი მათგანის მიერ 20 წლის წინ სიზმარში ნანახი რიცხვების წყალობით მოხსნეს.

გერმან უელეტი და მარკ ლაფერი უკვე 20 წელზე მეტია ერთად მონაწილეობენ ლატარიის გათამაშებებში. მეგობრები ბილეთში ყოველთვის ერთსა და იმავე რიცხვებს წერდნენ.

– 1990-იან წლებში დამესიზმრა რიცხვები, რომლებიც მომგებიანი უნდა ყოფილიყო. გამეღვიძა თუ არა, ისინი ფურცელზე ჩავწერე, – განაცხადა ლაფერმა.

ლატარიის მორიგ გათამაშებაში სიზმარში ნანახმა რიცხვებმა მეგობრებს სიმდიდრე მოუტანა. მათმა მოგებამ ხუთი მილიონი კანადური დოლარი შეადგინა. ლატარიაში გამარჯვების შესახებ ლაფერმა ტელევიზორის ყურების დროს შეიტყო. მან გათამაშების შედეგები ეკრანზე ნახა.

– მაშინვე გაოგნებული ფეხზე წამოვიჭერი და გავიფიქრე: „იმედი მაქვს, გერმანს ეს ბილეთი ნაყიდი აქვს!“ – განაცხადა ლაფერმა.

ამ დროს უელეტმა თავისი ელექტრონული ფოსტა შეამოწმა და იქ ლატარიიდან მოსული წერილი ნახა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მან მსხვილი თანხა მოიგო.

– გაოგნებული ვიყავი და მარკს მივწერე, რომ ხუთი მილიონი მოვიგეთ, – განაცხადა უელეტმა.

ძირითადი ჯეკპოტის გარდა, მეგობრებმა 933 კანადური დოლარი ბილეთის დამატებითი ოპციის წყალობით მოიგეს.

მოგებული თანხის საკუთარი წილით უელეტი ევროპაში სამოგზაუროდ წასვლას, ხოლო დარჩენილი თანხის ინვესტირებას გეგმავს. ლაფერიც ასევე აპირებს თანხის ინვესტირებას, თუმცა მანამდე ახალი ავტომობილის შეძენა და პარიზში გამგზავრება სურს.

მამაკაცმა სამზარეულოს შეკეთება გადაწყვიტა და 400 წლის ნახატები აღმოაჩინა



დიდი ბრიტანეთის ქალაქ იორკის მკვიდრმა გადაწყვიტა სახლის სამზარეულო განეახლებინა და შემთხვევით ეროვნული მნიშვნელობის ფასდაუდებელი ნახატები აღმოაჩინა, რომელთა ასაკი 400 წელს აღწევს.

ლიდსის უნივერსიტეტის მედიცინის მკვლევარის ლიუკ ბადვორტის სახლში მუშებმა აღმოაჩინეს ნახატები, რომელიც ინგლისის სამოქალაქო ომის თარიღით 1660 წლით თარიღდება. თავდაპირველად მუშებმა ნახატი სამზარეულოს კარადის ქვეშ შენიშნეს. სახლის პატრონი მიხვდა, რომ ანალოგიური ნახატები შესაძლოა ბუხრის მეორე მხარეს, ხის პანელის ქვეშ ყოფილიყო დაფარული. ადრე ის ფიქრობდა, რომ აღნიშნული პანელი უბრალოდ მილებს ფარავდა.

– ამ აღმოჩენამ ძალიან ამაღელვა. ხელსაწყოებს ხელი დავტაცე და ხის მოშორება დავიწყე. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ მის უკან ძველი ვიქტორიანული გაზეთი იყო გაკრული, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ეს კედელზე შესრულებული მხატვრობა იყო, – განმარტა ბადვორტმა.

ნახატებზე გამოსახული იყო სცენები პოეტ ფრენსის კუორლსის მიერ 1635 წელს დაწერილი წიგნიდან „ემბლემები“. ორგანიზაცია ინგლისის ისტორიის მონაცემებით, ეს ნახატები ეროვნული მნიშვნელობისაა და უძველესი ქუჩის ისტორიას ასახავს.

– ძალიან მიხარია, რომ ეს ნახატები ჩემ ბინაში აღმოჩნდა, მაგრამ ამავე დროს, ეს დიდი ტვირთიცაა. რამდენადაც ვიცი, დაფინანსება გათვალისწინებული არ არის, ხოლო მათ შენარჩუნებას დიდი თანხა ჭირდება, – განაცხადა სახლის პატრონმა და იქვე აღნიშნა, რომ ნახატები იმისთვის, რომ არ გაფერმკრთალებულიყო, მზის სხივებისგან დაფარეს. მათ ნახატების ასლები დაბეჭდეს, ხოლო თავად ორიგინალები დაფარეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რუსეთი ბელორუსში ბირთვულ იარაღს განალაგებს

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. უკრაინელებმა ბახმუტის ჩრდილოეთით კონტრშეტევა განახორციელეს. პასუხად რუსებმა ბახმუტის დაბომბვა გააძლიერეს, მაგრამ ამაოდ. უკრაინელთა თავდაცვითი ზღუდეების გარღვევა მათ ვერ შეძლეს.

მსგავსი ვითარებაა ავდეევკასა და მარინკასთან. რუსმა ოკუპანტებმა ავდეევკასთან ტანკების მთელი ჯგუფი გადაისროლეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტანკები 1952-53 წლების გამოშვებისაა. მიუხედავად ამისა, ოკუპანტებმა შეტევის განხორციელება მაინც სცადეს. შედეგად მათ მძიმე მარცხი იწვნიეს და უკან დაიხიეს.

დონბასის ფრონტზე განცდილმა მარცხმა რუსეთის სამხედრო მანქანას ფრთები მოამტვრია. უკრაინის სამხრეთში მათ შეტევაზე გადასვლა უკვე აღარ ძალუძთ. ცალკეული ცნობით, რუსები თავდაცვით ზღუდეებს აშენებენ და უკრაინელთა მოსალოდნელი კონტრშეტევისათვის ემზადებიან. პარალელურად აქტიურად მუშაობს რუსული დიპლომატია. მოსკოვი ცდილობს, უკრაინელთა მოსალოდნელი კონტრშეტევა ჩაშალოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება რუსების მიერ ბელორუსში ბირთვული იარაღის შეტანა.

– ზოგიერთებს შევახსენებ, რომ რუსეთი ატომური ქვეყანაა! ასე რომ, მოსახვევში ფრთხილად! – განაცხადა დიქტატორმა პუტინმა.

უკრაინელი სამხედრო ექსპერტის ოლეგ ჟდანოვის აზრით, მოსკოვი ბირთვულ შანტაჟს დაუბრუნდა. პუტინი დასავლეთს უკვე ღია ტექსტით ეუბნება: დაჯექით ჩვენთან მოლაპარაკების მაგიდასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ბირთვული ომი გარდუვალიაო. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი რუსეთის კუთვნილებად აცხადებს ყირიმს, დონბასს, ხერსონს, ზაპოროჟიეს და ცდილობს, რომ მსოფლიომ აღიაროს მისი ბოდვითი ამბიციები. ბელორუსში ბირთვული იარაღის განთავსებით პუტინმა მორიგი აგრესიული სვლა გააკეთა: ან მსოფლიო რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდება და მის ე.წ. კანონიერ ინტერესს აღიარებს ან ბირთვული ომიო. ამ თავხედურმა ნაბიჯმა აშშ-ში არავითარი ეფექტი არ იქონია.

– ჩვენ დავეხმარებით უკრაინას მანამ, სანამ ეს საჭირო იქნება, – განაცხადა პრეზიდენტმა ბაიდენმა.

მართალია, ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის ყველაზე აგრესიული ფრთა (ე.წ. ტრამპისტები) ამას ეწინააღმდეგება, მაგრამ ისინი კვლავაც უმცირესობაში არიან. ამერიკელთა 70% მიიჩნევს, რომ უკრაინისადმი დახმარება უნდა გაგრძელდეს, ამიტომაც აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნები უკრაინას უხვად ამარაგებენ საბრძოლო მასალებით, სამხედრო ტექნიკით და ა.შ. რუსი ოკუპანტების რიგებში უდიდესი დანაკარგია. პუტინის მუქარების კი უკვე აღარავის ეშინია.

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. მთელი დემოკრატიული მსოფლიო მოელის, თუ როდის დაიწყება უკრაინელთა მასობრივი კონტრშეტევა.



ბაიდენმა მისისიპის შტატში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა მისისიპის შტატში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მიზეზი შტატზე გადავლილი ქარბორბალა იყო.

– შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

ტრამპის მორიგი მყვირალა განცხადება

აშშ-ის ექსპრეზიდენტი ტრამპი ამომრჩევლებს შეხვდა. მან განაცხადა, რომ რუსეთ– უკრაინის ომი საშიშ ხასიათს იღებს და ის უნდა დამთავრდეს.

– მე რომ პრეზიდენტი ვიყო, ამ ომს 24 საათში დავამთავრებდი! როგორ? საშუალებას მივცემდი პუტინს, რომ უკრაინის ტერიტორიის ნაწილი წაეღო! – თქვა ტრამპმა.

უკრაინა გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევას მოითხოვს

რუსეთის მიერ ბელორუსში ბირთვული იარაღის განთავსების მუქარას უმალ მოჰყვა კიევის რეაქცია. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კულებამ განაცხადა, რომ დადგა დრო, როცა რუსეთის ბირთვულ შანტაჟს ბოლო უნდა მოეღოს.

– იმედია, გაერო სათანადო მექანიზმს შეიმუშავებს, – თქვა კულებამ.

მასობრივი პროტესტები ისრაელში

ისრაელის ქალაქებში მასობრივი პროტესტია. მისი ორგანიზატორები გამოდიან სამართლებრივი რეფორმების წინააღმდეგ. მათ მხარი დაუჭირეს პრემიერმა ნეთანიაჰუმ და თავდაცვის მინისტრმა. პროტესტების ფონზე ისრაელის თავდაცვის მინისტრმა პოსტი დატოვა.

ჰონდურასმა ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა

ჰონდურასმა ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. ამის თაობაზე იუწყება რადიო „თავისუფლება“.

ჰონდურასის მთავრობის განცხადებაში ნათქვამია, რომ ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ნახევარკუნძულის კანონიერი მთავრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

უზარმაზარმა პითონებმა ადამიანებს აჯობეს

უზარმაზარი პითონების შემოსევის შეჩერება, რომლებმაც უკვე დაიპყრეს ფლორიდა, უკვე შეუძლებელია. ამ დასკვნამდე აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის სპეციალისტები მივიდნენ.

ფლორიდის ვეფხვისებური პითონების პოპულაციის მრავალწლიანი კვლევის შედეგები სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა. მისი ავტორების აზრით, უახლოეს მომავალში ადამიანები ვერ მოახერხებენ ამ ქვეწარმავლების დამარცხებას.

ვეფხვისებური პითონების სიგრძემ შესაძლოა ექვს მეტრს მიაღწიოს. ისინი აშშ-ში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან მოხვდნენ. ფიქრობენ, რომ ამერიკული პოპულაციის საფუძველს 1992 წელს ფლორიდაზე თავსდატეხილი ქარიშხალის „ენდრიუს“ დროს სამხეცეებიდან და ზოომაღაზიებიდან გაქცეული პითონები წარმოადგენენ. ათი წლის შემდეგ უზარმაზარი ქვეწარმავლები უკვე ბუნებრივ კომპლექს ევერგლეიდსში შენიშნეს, რომელიც ფლორიდის შტატის ტერიტორიის მეოთხედ ნაწილს მოიცავს. ისინი სრულიად ადვილად ანადგურებენ ადგილობრივ ცხოველებს, თავად კი მტაცებლებისთვის მიუწვდომელები რჩებიან და სწრაფად მრავლდებიან.

ამ სახიფათო რეპტილიების გავრცელების შესაჩერებლად, ფლორიდის ხელისუფლებამ ჯილდოები დააწესა პითონების განადგურებაზე, თუმცა სერიოზული წარმატებების მიღწევა ვერ მოხერხდა. გველები ადვილად არიდებენ თავს დაგებულ ხაფანგებს და თავს ჭაობებს აფარებენ. 2022 წელს პითონებზე ნადირობის შედეგად მხოლოდ 231 ქვეწარმავალის განადგურება მოხერხდა. სიტუაციის გამოსწორება ვერც ინდოეთიდან საგანგებოდ მოწვეულმა გამოცდილმა გველებზე მონადირეებმა შეძლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვარდან მინასიანი: „მოდით, ერთად ვიშრომოთ!“

საფეხბურთო კლუბ თელავში დიდი ცვლილებებია. კლუბი მალე ახალი მეპატრონის ხელში გადავა. ახალი მფლობელები კი, სომხეთიდან არიან და უკვე მწვრთნელიც მიიყვანეს – ვარდან მინასიანი.

როგორ იქნება კახური გუნდის ახალი ცხოვრება, ამის თაობაზე თავად მწვრთნელი საუბრობს.

ვარდან მინასიანი:

– მას შემდეგ, რაც ყაზახური თარაზიდან სამშობლოში დავბრუნდი, თითქმის წელიწადი უქმად ვიყავი. მართალია, ეს პერიოდი ჩემს ძირითად საქმეს არ ვაკეთებდი, თუმცა რამდენიმე ინტერნეტ-პორტალზე სხვადასხვა მატჩებს ვუკეთებდი ანალიზს. ბუნებრივია, პარალელურად მქონდა არაერთი შემოთავაზება როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი კლუბებიდან, მაგრამ ისეთი წინადადება ნამდვილად არ იყო, რომელიც ჩემს სამწვრთნელო ფილოსოფიას მიესადაგებოდა.

რაც შეეხება თელავში ჩემს მისვლას, ცხადია, კლუბის ხელმძღვანელების გეგმებმა და ხედვამ დამაინტერესა. ვიცი, რომ აქვთ გუნდის განვითარებისა და წინსვლისთვის პროექტი, რომელიც ზუსტადაც, რომ ახლოსაა ჩემს ფილოსოფიასთან და

მზად ვარ, გვერდში დავუდგე და ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო.

– ამასობაში, პირველი ვარჯიშები უკვე ჩაატარეთ.

– დავიწყებ იქიდან, რომ ცხადია, ვიცოდი, სად მოვდიოდი. თელავის თამაში აქამდე სამჯერ ვნახე. ბოლოს, თბილისის დინამოსთან მატჩსაც უშუალოდ ტრიბუნიდან ვუყურე. თუმცა, სხვა საქმეა, როცა უკვე ახლოს, მინდორზე ეცნობი გუნდს და ფეხბურთელებს. პირველი შთაბეჭდილება ისაა, რომ მომეწონა ბიჭების შემართება და საქმისადმი მიდგომა, ქართველ ფეხბურთელებზე ყოველთვის მაღალი წარმოდგენა მქონდა, ვიცი, მათი ტექნიკური მხარე, როგორ უყვართ ბურთთან ურთიერთობა. ასე რომ, ახლა ამ ყველაფერს ჩემი ფილოსოფია მინდა შევუხამო, გადავცე გუნდს ის, რაც მსურს და მივიღოთ მთავარი – შედეგი!

– შედეგის მიღწევას, პირველ რიგში, უდიდესი შრომა და ოფლის ღვრა სჭირდება.

– რა თქმა უნდა, ამის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე პოზიტივსა და წარმატებაზე საუბარი. კლუბის ხელმძღვანელებმა მშვენივრად იციან, თუ რა არის ამისთვის საჭირო – მათ მაქსიმალური მხარდაჭერა აღგვითქვეს ყველანაირად, დანარჩენი კი ჩვენი, სამწვრთნელო შტაბის და ფეხბურთელების გასაკეთებელია, თუმცა ხაზგასმით აღვნიშნავ იმასაც, რომ დიახ, შედეგი, პირველ რიგში, მინდორზე ფეხბურთელთა შრომას მოაქვს

– თქვით, რომ დინამოსთან მატჩი უშუალოდ ტრიბუნიდან ნახეთ. ისიც გეცოდინებათ, თუ როგორ უყვართ გულშემატკივრებს თავიანთი საყვარელი გუნდი და როგორი ქომაგობაც იციან თელავში. მათ რას ეტყოდით, რას ჰპირდებით?

– დიახ, ვიყავი ტრიბუნაზე და მართლაც ძალიან მოვიხიბლე პუბლიკით. პირდაპირ გეტყვით, დინამოსთან ფრე გულშემატკივრების დიდი დამსახურება იყო. მთელი თამაშის მანძილზე გაუჩერებელმა ქომაგობამ ძალიან მაგარი მუხტი მისცა გუნდს და თელავს მატჩის ბოლოსკენ ცოტა რომ გამართლებოდა, ეგებ, მოეგო კიდეც.

ზოგადად, ფეხბურთი ხომ გულშემატკივრებისთვისაა და ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ გუნდმა საშინაო მატჩები ყოველთვის ერთგული ქომაგების წინაშე ჩაატაროს.

რაც შეეხება დაპირებას, ასე ვიტყვი: ქომაგი ნებისმიერ მატჩში ბრძოლისუნარიან, შემართულ და ერთ მუშტად შეკრულ გუნდს იხილავს მინდორზე, ამის გარანტიას მოგცემთ, დანარჩენი კი გამოჩნდება

– არც ტიტულები გაკლიათ და არც სამწვრთნელო გამოცდილება, ისიც კარგად მახსოვს, რომ თქვენ მიერ გაწვრთნილი სომხეთის ეროვნული გუნდი საკმაოდ გამართულ და შედეგიან ფეხბურთს თამაშობდა. და მაინც, როგორია, ვარდან მინასიანის ფეხბურთი?

– განსაკუთრებული არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ჩემი სტილი და ფილოსოფია მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ თამაში მოწინააღმდეგის მიხედვით უნდა ავაწყოთ, უნდა გავითვალისწინოთ მეტოქის ძლიერი და სუსტი მხარეები, სიღრმისეულად შევისწავლოთ ის და მივიღოთ შედეგი! რა თქმა უნდა, ახლა ნიუანსებზე არ ვილაპარაკებ, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, მაქვს ჩემი სტილი, ფილოსოფია, საქმისადმი ზედმიწევნით მიდგომა და დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელები ამ მხრივ მხარს ამიბამენ, რომ მოვიგოთ თამაშები და წარმატებას მივაღწიოთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

ქეთი დოლიძე პრემიერისთვის ემზადება

რეჟისორი ქეთი დოლიძე პრემიერისთვის ემზადება. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში რეჟისორი პირველ აპრილს მაყურებელს ავგუსტ სტრინბერგის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „უფრო ძლიერი“ შესთავაზებს.

სპექტაკლი ინგლისურ და ქართულ ენაზე გათამაშდება და მასში 3 მსახიობი მონაწილეობს თამარ ბზიავა, ირინა გიუნაშვილი და ცოტნე მეტონიძე.

რუსთაველის საზოგადოება მწერალთა სახლში შეიკრიბება

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება 29 მარტს მწერალთა სახლში შეიკრიბება და მორიგ ღონისძიებას გამართავს.

საზოგადოების ხელმძღვანელის დავით შემოქმედელის ინიციატივით, მწერალთა სასახლეში მისული საზოგადოება ფეხბურთის დიდოსტატებს მურთაზ ხურცილავას, მანუჩარ მაჩაიძესა და რევაზ ძოძუაშვილს შეხვდება.

რუსთაველის საზოგადოების მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ნიკა ამაშუკელი მსოფლიო თასის ფინალის მსაჯობის პრეტენდენტია

პრესტიჟულმა სარაგბო საიტმა „პლანეტა რაგბიმ“ ნიკა ამაშუკელი იმ 7 არბიტრს შორის დაასახელა, რომელთაც 2023 წლის მსოფლიოს თასის ფინალის მსაჯობის შანსი აქვთ. დიდი ალბათობით, ნიკა საერთოდ პირველი ქართველი მსაჯი იქნება, რომელიც მსოფლიოს თასზე იქნება წარმოდგენილი.

„პლანეტა რაგბის“ სია ასეთია: უეინ ბარნსი (ინგლისი), ბენ ოკიფი (ახალი ზელანდია), ნიკა ამაშუკელი (საქართველო), ანგუს გარდნერი (ავსტრალია), ლუკ პირსი (ინგლისი), პოლ უილიამსი (ახალი ზელანდია), მატიო რაინალი (საფრანგეთი).

აი, რა წერია „პლანეტა რაგბის“ ვებგვერდზე:

– მისი ასაკის (28) და გამოცდილების (19 ტესტი) გათვალისწინებით, ამაშუკელი ალბათ, ჭანჭიკია სხვა კონკურენტებთან შედარებით. თუმცა, მისი კანდიდატურა სავსებით რეალურია. ამაშუკელი ქართული რაგბის დიდი მეოხი და ადვოკატია, გამოირჩევა რაგბის სიღრმისეული ცოდნით. ჩვენ ვნახეთ მისი ბრწყინვალე გადაწყვეტილება ქვინზისა და შარკსის თამაშში. რაც მეტ გამოცდილებას იძენს, მით უფრო პროგრესირებს, ასისტენტების გადაწყვეტილებებს პატივს სცემს. ამაშუკელმა ახლახან საფრანგეთისა და შოტლანდიის მატჩში სწორი გადაწყვეტილებით გააძევა მორაგბე. მსოფლიო რაგბის ორგანიზაციას ამაშუკელის მსაჯობა ძალიან მოსწონს და მის პროგრესზე ფსონს დებს. გარდა ამისა, ამაშუკელი ოთხ ენაზე თავისუფლად საუბრობს. ეს კი, დიდი დამხმარეა.

„პლანეტა რაგბის“ მიაჩნია, რომ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ იმსაჯებს ამაშუკელი ჯგუფურ ეტაპზე, როგორ წარმოაჩენს თავს მისთვის სადებიუტო მსოფლიოს თასზე.

ამასობაში, ამაშუკელი ორი დღის განმავლობაში მსოფლიო რაგბის მწვრთნელთა და მსაჯთა სამუშაო შეხვედრაზე იმყოფებოდა.

მსოფლიო თასის ყველა მონაწილე გუნდის მთავარი მწვრთნელი და ელიტური პანელის მსაჯები ლონდონში შეიკრიბნენ. ახალი წამოწყების ინიციატორი მსოფლიო რაგბის მსაჯთა ხელმძღვანელი ჟოელ ჟუშია. მისი მიზანია, რომ თამაში უფრო სანახაობრივი გახდეს და მსაჯებს ნაკლებად მოუწიოთ საქმეში ჩართვა. მსგავსი ინტერაქციები ექვსი და ოთხი ერის გუნდების მწვრთნელებისთვის აქამდეც იმართებოდა, ახლა კი მასში უფრო მეტი გუნდი იყო ჩართული.

ნიკა ამაშუკელი:

– ჟოელ ჟუშმა, რომელიც მსოფლიო რაგბის მენეჯმენტში 2021 წელს მოვიდა, მიზნად დაისახა მწვრთნელთა და მსაჯთა შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. მიზეზი მარტივია. რაგბი კომპლექსური სპორტია, მოედანზე ბევრი რამ ხდება და იმისათვის, რომ დაცული იყოს მოთამაშეთა უსაფრთხოება და შედგეს სანახაობა, აუცილებელია მსაჯების, მწვრთნელებისა და მოთამაშეთა ერთობლივი ძალისხმევა. ცვლილებებმა, რომლებიც დროის მცირე მონაკვეთში დიდი დოზით იყო, თამაშში მთელი რიგი პროცესები გამოიწვია, რამაც ტემპი დაწია. წინა პლანზე წამოიწია მსაჯებისა და ვიდეო-რეფერის როლმა, რაც მაყურებელს, როგორც სარაგბო შოუს მომხმარებელს, დიდად არ სიამოვნებს. შესაბამისად, მწვრთნელთა, მოთამაშეთა და მსაჯთა გაერთიანება ვცდილობთ, გულშემატკივარს შევთავაზოთ ისეთი გამოსავალი, სადაც სპორტსმენთა უსაფრთხოებაც დაცული იქნება და შოუც შედგება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ეს შეხვედრა, რომელიც იყო დეტალური და მას ესწრებოდნენ როგორც მსოფლიო თასის მონაწილე გუნდების მწვრთნელები, ასევე ის მსაჯები, რომლებიც თამაშებს მსოფლიო თასზე გაუძღვებიან. საუბარი იყო მთელ რიგ ეპიზოდებზე – რაქზე, მოლზე, სივრცეზე, შერკინებაზე, აუტზე, რასაც თან ახლდა დისკუსიები.

აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რომ საუბარია არა წესების ცვლილებაზე, რომელსაც მთელი რიგი პროცედურები სჭირდება, არამედ მიდგომის ცვალებადობაზე. ერთი და იგივე ეპიზოდი მსაჯმა და მოთამაშემ, გნებავთ სხვადასხვა მსაჯმა, შეიძლება განსხვავებულად აღიქვას. სწორედ ამაზე იყო მუშაობა, რომ მაყურებლისთვისაც და მოთამაშისთვისაც ადვილი იყოს ამა თუ იმ ეპიზოდის აღქმა, თანაც ისე, რომ მსაჯებს სასტვინის მიტად გამოყენება არ მოუხდეთ. მსაჯებმა ნესებთან დაკავშირებით ნათელი პასუხები უნდა მივცეთ მწვრთნელებს და მერე მწვრთნელებმა ეს დეტალები უნდა გააცნონ მოთამაშეებს. რა თქმა უნდა, იქნება აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა აუცილებელია თამაშისთვის საჭირო ფუნდამენტურ მომენტებზე შეთანხმება, რათა ერთიანი აზროვნება გვქონდეს მწვრთნელებს და მსაჯებს და ნებისმიერი გადაწყვეტილება ადვილად აღსაქმელი გახდეს მაყურებლისთვის. შეხვედრაზე განვიხილეთ უამრავი მომენტი და იყო მსჯელობა – როგორ სჯობს მსაჯისთვის და როგორ მოთამაშისთვის. ყველა თავის აზრს აფიქსირებდა, იყო დიდი ჩართულობა და ურთიერთპატივისცემა.

დეტალები, რაზეც ვისაუბრეთ, დაჯამდება და პრეზენტაციის სახით დაეგზავნება შეხვედრის მონაწილე ყველა მწვრთნელსა და მსაჯს. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება ჯერ გასახურებელი თამაშები და მერე მსოფლიო თასი. ახლა მთავარია, რომ ეს დეტალები, რაც შეიძლება სწრაფად მივიდეს ჯერ მოთამაშეებამდე და მერე გულშემატკივრამდე. ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ რაზეც ვისაუბრეთ, უმოკლეს დროში დაინერგოს ჩვენს ეროვნულ ნაკრებში, რათა ბიჭებმა მოსამზადებელ პერიოდებში აქტიურად ჩართონ ეს ელემენტები. მე და ლევანს ამ შეხვედრების შემდეგ გვქონდა ძალიან კარგი საუბარი და ის ელემენტები, რაც აქ გავიარეთ, უნდა ჩავრთოთ ნაკრების მომზადებაში. ლევანმა კარგად იცის, რომ დისციპლინა ერთ-ერთი პრიორიტეტია და, შესაბამისად, მოამზადებს გუნდს.

მამუკელაშვილი იგებს, ბითაძე – აგებს

სანდრო მამუკელაშვილმა ნბა-ში კიდევ ერთი შედეგიანი მატჩი ჩაატარა. ქართველ კალათბურთელს, სან ანტონიოს მაისურით, სასტარტო ხუთეულში თამაში მონაცვლეობით უწევს. წინა შეხვედრაში ის სასტარტოში იყო, ამჯერად სათადარიგო, მაგრამ ამჯერად შედარებით ნაკლებ დროში მეტად შედეგიანი იყო.

მამუკელაშვილის გუნდი ბოსტონ სელტიკსს ესტუმრა და დიდი სხვაობით – 93:137 დამარცხდა. სანდრომ 22 წუთში 13 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. 6-დან 4 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი, 3-დან 2 საჯარიმო – ასეთი იყო მისი სროლის სიზუსტე.

სან ანტონიოს 19 მოგება აქვს და დასავლეთის კონფერენციაში ბოლოსწინა მე-14 ადგილზეა.

საპლეიოფო ზონაში მოსახვედრად იბრძვის გოგა ბითაძის ორლანდო მეჯიქი. ფლორიდელებმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს. ამჯერად შინ, ბრუკლინ ნეთსი დაამარცხეს – 119:106.

ბითაძე სათადარიგო იყო და მოედანზე მხოლოდ 6 წუთი დაჰყო, რა დროშიც 2 ქულა ჩააგდო.

ორლანდოს 33 მოგება აქვს და სამი გამარჯვებით ჩამორჩება საპლეიოფო ზონაში მყოფ, მეათეადგილოსან ჩიკაგო ბულსს.

სანიოლიც და სოლბაკენიც მოსაგებად იბრძოლებენ

28 მარტს საქართველოს ნაკრები 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩს ნორვეგიასთან გამართავს. ახალი ციკლის პირველი მატჩის წინ, ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ვილი სანიოლმა პრეს-კონფერენცია გამართა.

ვილი სანიოლი:

– რა თქმა უნდა, ვუყურე ნორვეგიის მატჩს ესპანეთთან. არ იმსახურებდნენ იმ ანგარიშით (0:3) მარცხს, რაც ტაბლოზე დაფიქსირდა. საკმაოდ კარგი გუნდია, კარგი ფეხბურთელებით. ამიტომ ვემზადებით სრული ძალისხმევით, რათა შედეგის მიღწევა მოვახერხოთ.

ნორვეგია ბევრად უფრო მაღალი დონის გუნდია, ვიდრე ერთა ლიგაზე გვყავდა. ახლა უფრო სერიოზული გამოცდა გვაქვს და გვაინტერესებს, როგორ შეძლებს გუნდი ამ ახალ გამოწვევას თავი გაართვას.

როგორც ფეხბურთის მოყვარულს, მინდოდა ჰოლანდი მოედანზე, რაც მეტ მოტივაციას მოგვცემდა ჩვენც და ფეხბურთელებს. თუმცა, მოხდა ისე, რომ ტრავმა მიიღო, რაც მეტოქისთვის დიდი დანაკლისია. ალბათ ექნებათ მის გარეშე თამაშის ტაქტიკაც.

ხვიჩა კვარაცხელია ნაპოლისა და ნაკრებში სხვადასხვა როლს ასრულებს, რადგან ეს გუნდები განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ. ჩვენ ჩვენი ფეხბურთის თამაში უნდა მოვახერხოთ.

ბოლო 2 წლის განმავლობაში არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდა. 11 ფეხბურთელი გვყავს, რომელსაც ივნისში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თამაში შეეძლებათ. ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდული გუნდი ვართ, მაგრამ რაც უფრო მსიამოვნებს, ეს არის, რომ გუნდიც და ახალგაზრდა ბიჭებიც პროგრესირებენ.

სტოლე სოლბაკენი:

– საქართველოსთან ნათამაშები ორივე მატჩი კარგად მახსოვს. ერთ-ერთში კაპიტანიც ვიყავი და საუკეთესო ფეხბურთელადაც დამასახელეს. თუმცა, ეს წარსულია და ჩვენი ხვალინდელი მიზანი სამი ქულაა. ვიცით, რომ საქართველო საკუთარ მოედანზე კარგად თამაშობს. ეს რამდენიმე ძლიერ გუნდთან დაამტკიცა. გუნდს ჰყავს ხვიჩა კვარაცხელია, რომელიც ასევე ძლიერი ფეხბურთელია. თუმცა, ჩვენი მიზანი ხვალ გამარჯვებაა.

საქართველო-ნორვეგიის მატჩი 28 მარტს, ბათუმში, 20:00 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქართველი ძიუდოისტების სამი ოქრო

თბილისში დასრულდა ძიუდოისტთა გრანდ სლემი, რომლის ბოლო დღე ქართული დელეგაციისთვის ყველაზე წარმატებული გამოდგა. არადა, მანამდე ჩვენს ნაკრებს სულ 2 მედალი ჰქონდა მოპოვებული: გიორგი სარდალაშვილმა (60კგ) ვერცხლის მედალი ირგუნა, ხოლო ლაშა შავდათუაშვილმა (73) – ბრინჯაო.

დასკვნით დღეს ოთხ მედალს რომ მოვიპოვებდით, წინასწარი შეხვედრების შემდეგ ნათელი იყო: ბოლო დღეს სამ წონით კატეგორიაში ოთხი ჩვენებური ფინალში გავიდა.

90 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ფინალი ქართული გამოვიდა – ოქროს მედლებისთვის ერთმანეთს ლაშა ბექაური და ლუკა მაისურაძე დაეჭიდნენ. ბექაურმა თავიდანვე ვაზარი აიღო და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. მაისურაძემაც ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ოლიმპიურ ჩემპიონთან ვერაფერს გახდა.

100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ილია სულამანიძის მეტოქე მონღოლი გონჩიგსურენ ბატხუიაგი იყო. ჩვენებური აქაც ვაზარით დაწინაურდა, შემდეგ ერთ მომენტში მარცხს გადაურჩა, როდესაც მეტოქეს შებოჭვიდან დაუსხლტა და საქმე ოქროს მედლამდე მიიყვანა.

მძიმე წონის ფინალში გელა ზაალიშვილი თურქ მუნირ ერთუგს დაეჭიდა და ლამაზი გდებით დასცა.

ჯამში საქართველოს ნაკრებმა 3 ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 2. მოლდოვას პრეზიდენტი; 3. ბიბლიის ათი მცნება; 4. რომან „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. სხვადასხვა ქანისა და მინერალის ფხვიერი შენაერთი; 14. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 15. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 17. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 20. ოპერა „ფალსტაფის“ კომპოზიტორი.

თარაზულად: 5. აგრო-სამრეწველო კომპლექსი საქართველოში; 6. ქართველი მოდელიერი ქალი; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ვალის გადახდის უნარმოკლებული, გაკოტრებული პირი; 11. პოემა „გველისმჭამელის“ პერსონაჟი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 16. ძველებური ფირსაკრავი; 18. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 19. სამონასტრო კომპლექსი საჩხერის რაიონში; 21. რაიონული ცენტრი სვანეთში; 22. ძველი ბერძენი დრამატურგი, ტრაგედია „მედეას“ ავტორი; 23. ალუმინის შემცველი მადანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მერკური; 2. ბიატლონი; 3. მექისე; 4. ჰიმნი; 5. ჰიუსტონი; 8. კულინანი; 12. ტატა; 13. რუმინეთი; 14. იგუანა; 16. შარიათი; 18. ვალსი; 20. აჯიო.

თარაზულად: 6. ნეგროიდი; 7. სტეინიცი; 8. კურტუა; 9. კუნფუ; 10. სოლიტერი; 11. კოსტიოლი; 15. გუტენბერგი; 17. ღამურა; 19. ნოტარიუსი; 21. მერჩულე; 22. სიბელიუსი; 23. კობზარი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰონოლულუ; 2. განდი; 3. გუჯაბიძე; 4. სისხლი; 7. ამური; 9. ეთიკა; 12. ადრენალინი; 14. სენსეი; 15. კოსტავა; 17. არქტიკა; 20. პუარო.

თარაზულად: 5. ბოლქვაძე; 6. მაუზერი; 8. ბოდრუმი; 10. კროტინი; 11. ალგეთი; 13. ავენიდა; 16. ჯავახეთი; 18. ურანი; 19. ფსოვი; 21. პუშეი; 22. ავლაბარი; 23. კრიკინა.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

28 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5754

ევრო — 2.7727

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1569

100 რუსული რუბლი — 3.3620

ამინდის პროგნოზი 28 მარტისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავიმ ბარსელონას მომავალზე ისაუბრა

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა გუნდის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას დიდი პოტენციალი აქვს და გუნდს შეუძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა. გარდა ამისა, ხავი დარწმუნებულია, რომ ბარსელონა ზაფხულში ახალ ფეხბურთელებს დაიმატებს: „ჩვენ წელს რამდენჯერმე უკვე ვაჩვენეთ, ჩვენი პოტენციალი, თუმცა ჯერ საქმე ბოლომდე არ მიგვიყვანია, ამიტომ არ უნდა მოვდუნდეთ. ზაფხულში რამდენიმე საკადრო ცვლილებას განვახორციელებთ“.

ბენზემა: „კარიერის დასრულებაზე არ ვფიქრობ“

მადრიდის რეალის ფრანგმა ფორვარდმა კარიმ ბენზემამ განაცხადა, რომ ჭორები იმის შესახებ, რომ მან შესაძლოა კარიერა დაასრულოს, სიმართლეს არ შეესაბამება და ის მინიმუმ რამდენიმე წელიწადი აპირებს მაღალ დონეზე თამაშს: „მინდა, ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ რამდენიმე წელიწადი ვაპირებ თამაშს და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ვიფიქრო კარიერის დასრულებაზე. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი“.

ტომას ტუხელი: „ბაიერნის გასაწვრთნელად მზად ვარ“

მიუნხენის ბაიერნის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა, რომ ის მზად არის მუშაობას შეუდგეს და ერთი სული აქვს, როდესაც ბაიერნს პირველ შეხვედრაში უხელმძღვანელებს: „ბაიერნს უდიდესი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამ პოტენციალს გამოყენება სჭირდება. შევეცდებით, რომ წელს ყველა ტიტული მოვიგოთ და ამის შანსი გვაქვს. მინდა, რომ ბაიერნში წარმატებული ვიყო“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მერაბ კოკოჩაშვილი 88 წლის გახდა



კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი 88 წლის გახდა. დაბადების დღე ხელოვანმა უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღნიშნა.

მთელი ცხოვრება მერაბ კოკოჩაშვილმა ქართულ კინოს მიუძღვნა და არაერთი შედევრი შექმნა. „დიდი მწვანე ველი“ მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათია.

მერაბ კოკოჩაშვილი ხშირად თავად არის მისივე ფილმების პროდიუსერი და სცენარის ავტორი. იგი, როგორც მსახიობი, გადაღებულია ფილმებში „გიორგი საკაძე“, „მწვერვალი“ და „არ იდარდო“.

მერაბ კოკოჩაშვილი წლებია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა და თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალ თაობას უზიარებს.

იუბილარი რეჟისორი ახლაც აქტიურად აგრძელებს მუშაობას და საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, იღებს ფილმს „ტერცო მონდო“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 მარტისათვის

ვერძი – ჭეშმარიტებას ეძიებთ და ჩასწვდებით. ეცადეთ, დაიცვათ ზნეობა და მორალი. **კურო** – პრობლემების დაძლევაში თვითდარწმუნება და ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. გამოიჩინეთ დიდსულოვნება. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. ეცადეთ, საყვარელ ადამიანს გული არ ატკინოთ. **კირჩხიბი** – ოპტიმიზმი და შრომისმოყვარეობა დღის დევიზია. ნუ იზარმაცებთ და მომავლის იმედი გქონდეთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ნებისმიერი წამოწყება თქვენთვის სასურველ შედეგს გამოიღებს. **ქალწული** – შესაძლოა, ფინანსურად სერიოზულად დაზარალდეთ. დიდი ყურადღება და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **სასწორი** – ცვლილებებს ნუ შეუშინდებით. პირიქით, სასურველიც კია, თქვენს ყოველდღიურობაში კორექტივები შეიტანოთ. **ღრიანკალი** – დღეს უმართლებთ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს. ნებისმიერი გადაწყვეტილება გაბედულად მიიღეთ. **მშვილდოსანი** – ემოციების გამოვლენას ერიდეთ. დღეს თქვენს ტალანტსა და შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მოუთმენლობა, აჩქარება და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება უარყოფით შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. არ გიმართლებთ, რაც თქვენი წინაუხედაობის ბრალია. **თევზები** – ცივი გონება, კრიტიკული განსჯა დღის დევიზია. რომანტიკული პერიოდი მთავრდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

მამაკაცი მომხიბვლელ ქალს სთავაზობს:

– ჩემს მდივნად ხომ არ იმუშავებდი?

– და, რა უნდა ვაკეთო?

– ყველაფერი სტანდარტულად: სატელეფონო ზარები, ქალადები, ყავა, სექსი...

– რააა???

– გეხუმრე, ყავას არ ვსვამ.

•••

სისხლის სამართლის გამოცდაზე პროფესორი სტუდენტს ეკითხება:

– შეგიძლიათ მიპასუხოთ, რა არის მოტყუება?

– ეს, ბატონო პროფესორო, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩამჭრით.

– როგორ, განმიმარტეთ, თუ შეიძლება.

– სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ატყუებს ის ადამიანი, რომელიც მეორე პირის უცოდინარობით სარგებლობს და ამით მას აზარალებს.

•••

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, რომელი საათია?

– ძილს ექვსი წუთი უკლია.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, როდის გავიზრდები ისე, რომ მოვიქცე ისე, როგორც თავად მომესურვება?

– არ ვიცი, შვილო, ჯერ მასეთ ასაკამდე არცერთ მამაკაცს არ მიუღწევია!

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მინდა, შენს ახლო ნათესავებზე დაგელაპარაკო.

– მართლა? რაზე?

– შენი დედა... ჩემს ვალს, 200 ლარს, როდის დამიბრუნებ?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პოვანეს თუმანიანის გარდაცვალების მე-100 წლისთავი ავლაბრის პანთეონში აღინიშნა

სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ავლაბრის პანთეონში გამოჩენილი სომეხი პოეტის, მწერლის, მთარგმნელის და საზოგადო მოღვაწის ჰოვანეს თუმანიანის გარდაცვალების მე-100 წლისთავი აღინიშნა.

პოეტისა და მწერლის შემოქმედების მოყვარულებმა ავლაბრის პანთეონში მისი საფლავი ყვავილებით შეამკეს.

ზურა ყიფშიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან



თეატრისა და კინოს მსახიობს ზურა ყიფშიძეს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვარსკვლავს გაუხსნიან. მსახიობთან შეხვედრა უკვე გამართა სახელობითი ვარსკვლავის გახსნის ინიციატორმა – კულტურის პალატის ხელმძღვანელმა დავით ოქიტაშვილმა:

– საქართველოს კულტურის პალატაში გაიმართა შეხვედრა ყველასათვის საყვარელ მსახიობ ზურა ყიფშიძესთან. ვისაუბრეთ მისი საიუბილეო საღამოს შესახებ, რომელიც გაიმართება ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 6 ოქტომბერს – „ზურა ყიფშიძე 70“.

ინგა ფერაძე ბრიუსელის მოხუცთა თავშესაფარშია

მომღერალი ინგა ფერაძე ბრიუსელის მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს და საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს.

ირაკლი კორძაიამ მომღერალთან ჩასვლა და მისი გადაღება გადაწყვიტა, მაგრამ ინგა ფერაძის შვილმა პრობლემები შეუქმნა:

– ინგა ფერაძე ბრიუსელის ერთ-ერთ მოხუცთა პანსიონშია. ბევრს არ მივედ-მოვედები, არის ცუდად. მომდევნო კვირაში მასთან შესახვედრად მივემგზავრებოდი – ტელეფონით – შვილის ტელეფონით – შევუთანხმე შეხვედრა და რამდენიმე გადაღება ჩემი პირადი სახსრებით, ჩემი პირადი აპარატურით. გახარებული იყო უზომოდ – „ჩემს ქართველებს არ დავვიწყებივარო“.

ასე გრძელდებოდა, ვიდრე მის შვილს უეცრად ფინანსური ინტერესი არ გამოუჩნდა. მოულოდნელად კომუნიკაციის გაგრძელება ადვოკატის მეშვეობით გადაწყვიტა, ყველანაირად ცდილობდა საკუთარი „მნიშვნელობის“ ხაზგასმას და ამაღლებას. ადვოკატს ისე ახსენებდა, როგორც „ბუას“. ადვოკატი ადეკვატური გამოდგა – მალევე მიხვდა, რომ საერთოდ არ არის ფულის თემა. როგორც ჩანს, ეს გარემოება ინგას შვილისთვის გამაღიზიანებელი აღმოჩნდა და ამის შემდეგ გადაწყვიტა, თავად განსაზღვროს გადაღებების რაოდენობა, ბოლოს ისევ ადვოკატზე დაყრდნობით გამომიცხადა, რომ ერთი გადაღება-დღეც მეყოფოდა. გავარკვიე, ადვოკატმა არაფერი იცოდა.

მოკლედ, ადამიანი – შვილი – პარაზიტირებს იზოლაციაში მყოფი დაუძლურებული დედის სახელით, პანსიონში ინგას საკომუნიკაციო საშუალებები არ აქვს, მხოლოდ სარგებელზეა ორიენტირებული. გითხრათ გაოგნებული ვარ, ნიშნავს არაფერი გითხრათ.

გადაღებები ინგასთვის სერიოზული თერაპია იქნებოდა, სიცოცხლეს გაუხანგრძლივებდა. ეს ძალიან კარგად იცის ინგას შვილმა. რაც კიდევ უფრო განსაცვიფრებელია, როგორ შეიძლება ამ სიხარულს მოხუც მშობელს, არტისტს ართმევდე. ასეთი თავგადასავლის შემდეგ, ცხადია, გადაღებები შეუძლებელია.

პ.ს. ინგასთან დამაკავშირა მაკა რაზმაძემ. თითქმის ერთადერთი ადამიანია თბილისიდან, ვისაც არ დავიწყებია და მუდმივად ინტერესდებოდა მისი მდგომარეობით. მადლობა დახმარებისთვის და ბოდიში, გაუგებრობაში მოხვედრისთვის მაკა. ძალიან, ძალიან მეცოდება ინგა ფერაძე.

ბესიკ ხარანაული და ტარიელ ხარხელაური გიორგი კეკელიძეს მხარდაჭერას უცხადებენ

მწერალსა და პოეტს გიორგი კეკელიძეს სრულ მხარდაჭერას უცხადებენ მისი უფროსი კოლეგები – ბესიკ ხარანაული ტარიელ ხარხელაური.

ბესიკ ხარანაული:

– ბოლო დროს ეროვნულ ბიბლიოთეკაში არაერთი პროექტი განხორციელდა. განსაკუთრებულია წიგნის მუზეუმი. ასეთი მუზეუმი ყველას უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, ქართველებს, რომლებიც ძალიან დამოკიდებული ვართ წიგნზე. სხვა ფასეულობებთან ერთად, წიგნი არის უმნიშვნელოვანესი ჩვენთვის. „ვეფხისტყაოსანი“ მთელ ქვეყნიერებას ეჭიდება და იცავს საქართველოს. ეროვნული ბიბლიოთეკა ძველი და ძვირფასი დაწესებულებაა, რომელსაც აქვს ძველი სიტკბო. ძველი გემო ზოგჯერ მყიფე ხდება, მაგრამ ბიბლიოთეკის ეს გემო დღეს ახალთანაა შერწყმული, რაც იშვიათია. გიორგი არის შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე, რომელიც ბრწყინვალედ უძღვება იმ დიდ საქმეს, რასაც ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ჰქვია. საგანმანათლებლო მოძრაობა „ეკვილიბრიუმთან“ მეც მქონდა შეხება. უაღრესად კარგი გრძნობები და ფიქრები მაქვს ამ საქმესთან და გიორგის ყველა პროექტთან დაკავშირებით. ეროვნული ბიბლიოთეკა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის მსგავს საქმეს აკეთებს. ის დღეს საუკეთესო ფორმაშია. ბიბლიოთეკის კოლექტივიც კარგია, მეგობრულია. მარტო გიორგი ვერ მოახერხებდა ამდენს.

ტარიელ ხარხელაური:

– ვფიქრობ, რომ გიორგი კეკელიძისნაირ კაცს არავის შეფასება არ უნდა სჭირდებოდეს. მას თავისი საქმეები უმაგრებს ზურგს. რაც ამ ახალგაზრდა კაცმა ამ ასაკში შეძლო, ნეტავ ბევრმა შეძლოს, ფუტკარივით მუშაობს. ასეთ ადამიანებს უნდა გავუფრთხილდეთ. ის ყველა მხარეს სჭირდება. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ძალიან ბევრ ღონისძიებაზე ვარ ნამყოფი. მხოლოდ ეს ღონისძიებები ღირს ერთი კაცის სიცოცხლედ. „ეკვილიბრიუმთანაც“ მქონია შეხება. მეც ვახლდი გიორგის ერთ-ერთ სოფელში. ნეტავ ყველას ასეთი მარიფათი ჰქონდეს. ბიბლიოთეკა ტაძარია და ამ კაცმა ხალხი მოიზიდა ამ ტაძარში. ცოცხალია იქაურობა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 2. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 3. კიევის მერი; 4. ავტოდრომი იტალიაში; 5. თვალის დაავადება, როდესაც საგანი ორად ეჩვენებათ; 8. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 12. მოგონილი, ტყუილი ამბავი; 13. ძველებური სამანძიანი ხომალდი; 14. აეროპორტი ქაიროში; 16. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 18. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის ნაკეთობებზე; 20. სანადირო თოფების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში.

თარაზულად: 6. პორტუგალიური ვაზის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოებს; 7. სასტუმრო თბილისში; 8. სასიგნალო ნაგებობა ზღვის სანაპიროზე; 9. ყავის მოსამზადებელი სახელურიანი ჭურჭელი; 10. მდგომარეობა ჭადრაკში; 11. ნახუცრიშვილის პიესა; 15. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 17. დაქირავებული კავალერი; 19. უნგრეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 21. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 22. ორკუზიანი აქლემი; 23. ექიმის სპეციალობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა